საკომო გაზეთი

№28/4 (385) • 5 აგვისტო, 2016 წ. • პარასკევი • ფასი 1 ლარი

საკვირაო დამატება

მარგველაშვილი „მზეა“ და გარშემო „ვარსკვლავებს“ იკრებს „ნაცების“, „რესპების“, „გირჩების“, ბუჭულა-ჭუჭულაძეების სახით

ირინა ფრუიძე: ჩემი ცხოვრებისეული პრინციპი არის დემოკრატია და გუნდურობა

სოსო მანჯავიძე: ოვერტონის ფანჯარა გააღეს და ახლა ჩვენ ვცდილობთ, ეს ფანჯარა მივხუროთ

მილიონი, როგორც ერთი, ანუ რა ემართება ადამიანს, რომელიც მასის ნაწილი ხდება?

საკონსტიტუციო რევოლუცია ჩავარდა!

დაეკისრებათ თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა რევოლუციის ინიციატორებს?

პელემ გოლი გაიჭანა

ხიდაშელმა შეიცხადა: როგორ შეიძლებოდა თავდაცვის მინისტრად „სუს“-ის მაღალჩინოსანი იზორია დანიშნულიყო.

ვნახოთ რა ხდება ამ მიმართულებით სხვა ქვეყნებში.

გასულ წელს პოლონეთში თავდაცვის უწყების ხელმძღვანელად კონტრდაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი დაინიშნა;

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის პოსტზე ლეონ ედუარდ პანეტა დაინიშნა (ცსს-ს ხელმძღვანელი 2009-2011 წ.წ) ;

2006 წელს, ჯორჯ ბუშმა (უმცროსი) აშშ-ის თავდაცვის ხელმძღვანელის პოსტზე რუბერტ მაიკლ გეიტსი წარმოადგინა (ცსს-ს ხელმძღვანელი 1991-1993 წ.წ).

პელემ გოლი გაიტანა

„გიორგი კვირიკაშვილი არის პელე, სრულიად ნამდვილი პელე ტრიბუნასთან... საამაყო კაცია!“ – აღფრთოვანებული ბრძანდებოდა თავდაცვის მინისტრობის დროს ქალბატონი თინა ხიდაშელი ბატონი პრემიერით და ეს დრო არცთუ დიდი ხნის უკან იყო...

დღეს – საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, იგივე ქალბატონი ხიდაშელი ლექსიკას უწუნებს იმავე კვირიკაშვილს და აცხადებს, რომ ამ ბოლო დროს, პრემიერ-მინისტრის გამოსვლებში ბოლშევიკური ტექსტები არის მოჭარბებული.

თავდაცვის მინისტრად ბატონ ლევან იზორიას დანიშვნის გამო იგივე, ანუ მკვეთრად უარყოფითი, მაგრამ აუხსნელი ხედვა-განწყობა აქვთ „ნაცმოძრაობის“ ე.წ სახეებსაც და მათზე მიტმასნილ სხვა სუბიექტებსაც.

საინტერესოა, რას ერჩიან ბატონ იზორიას, რომელსაც ერთი საათის დაკავებული არ ჰქონდა პოსტი, მკბენარებივით რომ დაესივნენ?

რა დაემართა ქალბატონ ხიდაშელს, ბატონ დავით უსუფაშვილს და მათ იდეურ მეგობრებს, რა „სუს-ი“ აუტყდათ?

ყოველ შემთხვევაში, ხალხი, რომელთაც წარმოდგენა არ აქვთ ვინ არის და რას საქმიანობდა აქამდე ბატონი იზორია, წინსწრებით სწორედ იმიტომ მოსწონთ, რომ აღნიშნულ სუბიექტებსა და მათთან ასოცირებულ პარტიებსა თუ კონკრეტულ პირებს პოლიტიკური ეთიკა დაავიწყა და ბოლო ხმაზე ააყვირა – თვით გაწონასწორებულად ცნობილი ბატონი უსუფაშვილიც კი აადუღლუნა.

მოკლედ რომ ვთქვათ, მათი განმარტებით, ბატონ ლევან იზორიას დანიშვნით დიდი და მთავარი შეცდომა დაუშვია ბატონ კვირიკაშვილს, „ზეარასწორი“ ნაბიჯი გადაუდგამს, რადგან აღნიშნული პიროვნება თურმე მანამდე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) უფროსის მოადგილეც ყოფილა და შს მინისტრის მოადგილეც.

ეს ამბავი კი, ხიდაშელის აზრით, ევროინტეგრაციის გზაზე მიმავალი საქართველოსთვის მიუღებელი და აკრძალულია.

ვნახოთ რა ხდება ამ მიმართულებით სხვა ქვეყნებში.

გასულ 2015 წელს პოლონეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელად სწორედ პოლონეთის კონტრდაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი დაინიშნა;

ბარაქ ობამას გადაწყვეტილებით, აშშ-ის თავდაცვის ხელმძღვანელის პოსტზე ლეონ ედუარდ პანეტა დანიშნა, რომელიც 2009-2011 წლებში აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელობდა;

უფრო ადრე 2006 წელს, ჯორჯ ბუშმა (უმცროსი) აშშ-ის თავდაცვის ხელმძღვანელის პოსტზე რუბერტ მაიკლ გეიტსი წარმოადგინა, რომელიც 1991-1993 წლებში ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელობდა და კონგრესმა მხარი დაუჭირა.

მოკლეფეხება ტყუილი გამოუვიდა ქალბატონ ხიდაშელს, მაგრამ რატომ, რა რჯის?

საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ „ანტიიზორიულისტური“ გუნდის წუხილი სრულიად სხვა მიმართულებებისაა, სხვა ამბებით არიან შეძრწუნებულები. მაგალითად, მათი უპირველესი პოლიტიკურად სასიკვდილო დანარცხება იყო თინა ხიდაშელისთვის თავდაცვის მინისტრის სკამის გამოცლა. ახსნა ასეთია – დასაბამიდან დღემდე ურეიტინგო „რესპუბლიკელებს“ ვითომ აპოლიტიკური ინსტიტუტის, სამხედრო კონტინგენტის ხმები სრულად დაეკარგათო;

კიდევ – მაინც იმედი ჰქონდათ რაღაცის და ეს რაღაცა თავიანთთვის სასურველი კანდიდატის გაყვანა იყოო და მარჩიელობენ, ნეტავ, ვისზე დებდნენ ფსონს, გულჩვილ დავით ზალკანიანზე თუ „აქუს გოგო“ თეონაზეო? – და თვითონვე ასკვნიან, ალბათ, თეონაზეო.

ამ ვერსიას განმარტებაც მოსდევს – რადგან „აქუს გოგო“ „მარგველ ხათროვიჩთან“ არის შეხიზნული მიშას სასახლეში, სადაც არცთუ გაურკვეველია ვისი ვიოლინო ვის როიალშია იდეურ-პოლიტიკურად, სულაც არ იქნება გასაკვირი „აქუს გოგო“ მართლაც სდომებოდათ თავდაცვის მინისტრადო.

რატომაც არა? – ვიზუალურად, „თინიკო დეიდაზე“ მომხიბვლელად გამოიყურება; მეტად მოუხდება თანამდებობაც და სამხედრო ფორმაც და თანაც, რასაც ამბობენ თუ სიმართლეა, „სანაცეთიც“ აშენდება – თეონა აქუბარდიას ამჟამინდელი მეუღლე იმჟამად მიშას უშიშროებაში მუშაობდა, როცა ოპოზიციონერად აფართხალებულ „აქუს“ ესტუმრა და მთელი ღამის განმავლობაში იმდენი „ემუსაიფა“, საბოლოოდ სიმამრიც „ნაცების მეშოკში“ უზის და მეუღლეცო, ანუ კუდად მიაკერა თავის „სანაცეთსო“...

აბა, კიდევ სხვა რა ნიშნით შეიძლება იდეაში მოსვლოდა ვინმეს თეონა აქუბარდიას კანდიდატურა?

სხვათაშორის, ისიც სასიკვდილო დარტყმის ტოლფასი იყო, როცა მცირე ხნის უკან „ოცნებამ“ „რესპუბლიკელებისთვის“ სრულიად მოულოდნელად სხვა „პრიორიტეტები“ მოძებნა. მაშინვე დაიწყო მოკრძალებული წუწუნი ბატონმა უსუფაშვილმა, პარლამენტის მოქმედმა თავმჯდომარემ, აბა, ეს რა წესია არჩევნებში ცალ-ცალკე მონაწილეობაო; ბატონ კვირიკაშვილთან საუბრის შედეგად მიღწეული, შეთანხმებიდან ორ დღეშივე მიინგ-მოინგრაო; კვირიკაშვილს ჩვენთან პარტნიორობა უნდოდა, მაგრამ „ოცნებამ“ სხვა პრიორიტეტები მოძებნა და განსაზღვრაო; სტრატეგიული პარტნიორობა მალევე დასრულდა, როდესაც ჩვენ ვთქვით, რომ არჩევნებში ცალკ-ცალკე ვიღებთ მონაწილეობასო; ასეთი არაფერი გამიგია, არჩევნებში ცალკ-ცალკე მონაწილეობა ქვეყნის, საქმის, საგარეო ურთიერთობების ხარჯზე რომ ხდებოდეს, საქართველოს მოსახლეობას ერთად შევპირდით ქვეყნის ეფექტურ და სწორ მართვას და ეს რა გამოვიდაო.

თინა ბანს აძლევდა: – „მისაღები ვარიანტი ის იყო, რომელიც არის ყველა დემოკრატიულ ცივილიზებულ ქვეყანაში – როდესაც კოალიციები არჩევნებიდან არჩევნების ბოლო დღემდე არიან კოალიციურ რეჟიმში. ეს არის ევროპა, დანარჩენი ყველაფერი ბოლშევიზმიაო“.

ახლა ბატონმა იზორიამ თავისი ახალი მოადგილეები რომ დაასახელა (ლელა ჩიქოვანი, ნუკრი გელაშვილი), საინტერესოა, როგორც უწოდებენ „რესპუბლიკური პარტიის ოვერლოკებსაც“ ხომ არ შეუდგათ წყალი, 7 ნოემბრის პროკურორ ირაკლი იმერლიშვილს, გიორგი მოლოდინს, გიორგი შაიშმელაშვილსა და არჩილ აბრამიას, აბა, რაზე ირევიან ასე საფუძვლიანად „რესპუბლიკელების თავები“ სრუილიად უსაფუძვლოდ?

კი, ნამდვილად – ისე გადაირივნენ, რომ ბატონმა პრემიერმა აღნიშნა, არაადეკვატური კომენტარები იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ, რაც ქალბატონი თინა და ბატონი დავითი დაძლევენ ამ ემოციებს, სხვაგვარ კომენტარებს გააკეთებენო. ბატონ პრემიერს არავინ შეუსწორა „ამას ემოცია კი არა „შოკი“ ჰქვიაო“ – ორმაგად დაშოკა „რესპები“, თავდაცვის მინისტრის სკამი ხომ გამოაცალა, ახლა ზედ სულაც იზორია დასვა, ძნელად მოსადრეკი კაცი და „ემოციებს დაძლევენო“...

ბატონმა უსუფაშვილმა მსწრაფლ განაცხადა – ძალიან მშვიდი დილა მქონდა; შემდეგ, პატრიარქს ვესტუმრე, ანგელოზის ხსენების დღე, ილიაობა მივულოცე, ვისაუბრეთ და კიდევ უფრო დავმშვიდდი, მაგრამ აზრი არ შემიცვლია, თავდაცვის მინისტრის პოსტზე ლევან იზორიას დანიშვნა მაინც არასწორი იყოო – ბოლოში მაინც ჩაიხვია.

„მე კარების გაჯახუნებას არ ვაპირებ!“ – თქვა თინამ და ისე გაიჯახუნა, ლამის აქვე ახლოში დაბუდებული რუსის ჯარი შემოვარდა გულგახეთქილი, ფარცაგი ხომ არაფერია თქვენს თავსო...

მოკლედ რომ მოვჭრათ, „პელემ“ „რესპუბლიკელების“ (არა მხოლოდ) კარში „მაკრატელათი“ გაიტანა გოლი...

გიორგი ჩხეიძე

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ირინა ფრუიძე:

ჩემი ცხოვრებისეული პრინციპი არის დემოკრატია და გუნდურობა და რომელ სფეროშიც არ უნდა ვიმუშაო, ეს პრინციპები არ შეიცვლება

„ირინა პროფესიით გახლავთ ფსიქოლოგი და ექიმი. მას ყველა იცნობს როგორც „რა, სად, როდის“ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კაპიტანს. დარწმუნებული ვარ, მისი როგორც ინტელექტი, ასევე პროფესია, ერთნაირად გამოადგება „ქართულ ოცნებას“. ასევე, მინდა ვთქვა, რომ რამდენიმე დღის წინ, იგი გახდა მეორე შვილის დედა და მინდა, ყველაფერი ერთად მივულოცო მას“- ასე წარადგინა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, „ქართულიოცნება – დემოკრატიულისაქართველოს“ თავმჯდომარემ გიორგი კვირიკაშვილმა პოლიტსაბჭოს ახალი წევრი ირინა ფრუიძე.

ექიმი, ფსიქოლოგი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი, ინტელექტუალური კლუბის – „რა? სად? როდის?“ მოაზროვნე და „ბროლის ბუს“ მფლობელი, წარსულში „ახალი მემარჯვენეების“ საერთაშორისო მდივანი, 2007-09 წლებში“ევროპის სახალხო პარტიის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი, მსოფლიო სკაუტური მოძრაობის ევრაზიის რეგიონის თავმჯდომარე განმარტავს, რომ პოლიტიკური კარიერა „ქართულ ოცნებას“ ორი მთავარი მიზეზის გამო დაუკავშირა: „ეს არის საშინაო კურსი. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი აშენებს ჭეშმარიტ, ევროპული ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოს. რაც შეეხება საგარეო კურსს, ეს არის ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეებში ინტეგრაციას“.

როგორ აპირებს პოლიტიკურ აქტივობას, რას ფიქრობს გენდერულ თანასწორობაზე, რა მიმართულებით აპირებს მუშაობას „ქართულ ოცნებაში“ და როგორ წარმოუდგენია საქართველოში მცირე ბიზნესის აღორძინება? „საერთო გაზეთი“ ირინა ფრუიძეს ესაუბრა:

— დავიბადე და გავიზარდე თბილისში. მამა ფიზიკოსი მყავდა. დედა ქიმიკოსია. მეუღლე მსახიობი და ტელე-რადიოგადაცემების წამყვანი დათო ველიჯანაშვილია. გვყავს ორი შვილი. უფროსი რვა წლისაა, უმცროსი კი ერთი თვის. რაც შეეხება განათლებას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ჩავაბარე პოლიტოლოგიისა და ადამიანთმცოდნეობის ინსტიტუტში და ავიღე ფსიქოლოგიის მაგისტრის დიპლომი. ამჟამად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტი ვარ. 2007 წელს გავლილი მაქვს სტაჟირება ევროპარლამენტში.

— **თქვენი ოჯახი როგორ შეხვდა თქვენს ჩართვას აქტიურ პოლიტიკაში?**

— მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში აქტიურად ვიყავი ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში, იმ დროს ნაკლებად ვიყავი დატვირთული საოჯახო საქმეებით და ნაკლებად ვმონაწილეობდი საჯარო პოლიტიკაში. ამდენად, ეს ჩემი ოჯახის წევრებისთვის სიახლე იყო, მაგრამ მზად არიან, რომ მხარში დამიდგნენ და ყველანაირად დამეხმარონ. რა თქმა უნდა, ჩვილი ბავშვის დედისთვის პოლიტიკაში ჩართვა დიდი გამოწვევაა, მაგრამ ქალები აქტიურები უნდა იყვნენ იმის მიუხედავად, ჰყავთ თუ არა ოჯახი და რამდენი შვილი ჰყავთ. ქალებს ხელი თუ არ შევუწყვეთ და წავახალისეთ, გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყანაში არაფერი შეიცვლება. მინდა, იმის მაგალითი ვიყო, რომ ოჯახური სტატუსის მიუხედავად, შესაძლებელია ქალი პროფესიულად და სოციალურად აქტიური იყოს.

— **„ქართულ ოცნებაში“ რა მიმართულებით აპირებთ მუშაობას?**

— ჩემი პოლიტიკაში მოსვლის მიზანია, ხელი შევუწყო ქვეყნის დემოკრატიულ და სტაბილურ განვითარებას და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. შესაბამისად, გუნდთან ერთად გადავწყვეტთ, სად უფრო ეფექტიანი და საჭირო იქნება ჩემი ჩართულობა, თუმცა არის რამდენიმე თემა, რომლებზეც, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება უკეთ ვიმუშაო. ეს არის ევროინტეგრაცია, ახალგაზრდული პოლიტიკა და გენდერული თანასწორობა. მაქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ხანგრძლივი გამოცდილება. შესაბამისად, სადაც ჩემი ჩართულობა საჭირო იქნება, იქ ვიქნები.

— **გენდერული თანასწორობა ახსენეთ.. რას ფიქრობთ ოჯახური ძალადობის გახშირებული ფაქტებზე და თქვენი აზრით, რამდენად სერიოზულია ეს პრობლემა?**

— ეს პრობლემა არა მარტო საქართველოში, მთელ მსოფლიოში აქტუალურია. ამერიკასა და ევროპაშიც კი, სადაც ქალთა უფლებების საკითხი გაცილებით მაღალ დონეზე დგას, გაუფლებების საკითხი გაცილებით მაღალ დონეზე დგას, გადაწყვეტილების მიმღების დონეებზე ქალების მონაწილეობა ჯერ კიდევ მსჯელობის თემად რჩება. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ეს პრობლემა საქართველოშიც გვაქვს. რაც შეეხება ოჯახურ ძალადობას, ჩემი აზრით, აქ საჭიროა კომპლექსური მიდგომა: მამაკაცებში და ზოგადად საზოგადოებაში ამ

საკითხის მიმართ ცნობადობის ამაღლების მიზნით მეტი საგანმანათლებლო მუშაობა და ამავე დროს ქალების გაძლიერება და გააქტიურება.

— **ძალადობის მსხვერპლი ქალები დაცვის მექანიზმების გაძლიერებას ითხოვენ..**

— რა თქმა უნდა, დაცვის მექანიზმებიც უნდა იყოს. შესაძლოა, კანონის გამკაცრებაც გახდეს საჭირო, მაგრამ პირველ რიგში, თუ ამ თემის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არ შეიცვალა, ვერც ერთი კანონი ვერ გვიშველის.

— **გეცოდინებათ, რომ კონკურენტი პარტიების ზოგიერთი წარმომადგენელი „ქართული ოცნების“ ახალ სახეებს პოლიტიკური გამოცდილების ნაკლებობას უწუნებს. გარკვეული კრიტიკის საგანი გახდა დასავლური განათლებაც....**

— ის, რომ ზოგიერთი ჩვენგანი აქამდე პოლიტიკაში არ ჩანდა, გამოუცდელობას არ ნიშნავს. ზოგი სახელმწიფო სტრუქტურებში, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, ზოგიერთი სხვა სფეროებში იყო დასაქმებული, მაგრამ ზოგადად, „ქართული ოცნების“ გუნდის ახალი წევრები მაღალი კვალიფიკაციის მქონე და თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში ძალიან გამოცდილი და წარმატებულიადამიანები არიან. ამიტომ, მათი პოლიტიკურ სივრცეში შემოსვლა იქნება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისთვის ძალიან დიდი წინსვლა. რაც შეეხება უცხოეთში მიღებულ განათლებას, ამაში უარყოფითს ვერაფერს ვხედავ. არა მარტო საქართველოში, დასავლეთის ქვეყნებშიც ძალიან პოზიტიურად აღიქმება, როცა ადამიანს საკუთარი ქვეყნის გარდა, განათლება სხვა ქვეყანაშიც აქვს მიღებული, რადგან მრავალმხრივი განათლება და ფართო თვალსაწიერი ადამიანის მაღალ შესაძლებლობებზე მეტყველებს. სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ ყველა ახალმა წევრმა საქართველოში მიიღო განათლება და საზღვარგარეთ სწავლა ამის შემდეგ გააგრძელა, რაც მხოლოდ პოზიტივია. ამაში ნეგატივის დანახვა წარმოუდგენელია.

— **ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“ პოლიტიკოსების ერთგვარ სამჭედლოდ იქცა. ეს მხოლოდ მოაზროვნეების ინტელექტს უკავშირდე-**

5 გვ.

მარგველაშვილი „მზეა“ და გარშემო „ვარსკვლავებს“ იკრებს „ნაცების“, „რესპების“, „გირჩების“, ბუჭულა-ჭუჭულაძეების სახით

გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე

— ბატონო ელიზბარ, ქართულ საჭადრაკო დაფაზე დიდი გადაადგილებებია. ერთი მხრივ, პრეზიდენტი მარგველაშვილი არენაზე ახალი პოლიტიკური ცენტრით შემოდის, მეორე მხრივ, სააკაშვილი იმუქრება ხელისუფლებაში დაბრუნებით. რა პროცესები მიდის რეალურად?

— თქვენ სააკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება ახსენეთ. ეგ აქ ვერ დაბრუნდება, მანამდე შეიძლება ფიზიკურად მოსპონ. მაგრამ არანაკლებ საშიშნი არიან აქ გაბატონებული პატარა მიშა სააკაშვილები. ამ ძალას მხარს უჭერს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მატლებივით მოედნენ საქართველოს და ღრღნიან. მათი უმეტესობა აგენტები არიან. წარმოგიდგენიათ, საქართველოში 16 ათასი არასამთავრობო ორგანიზაციაა, აქედან, 2-3 თუ იქნება ისეთი, ვინც სამშობლოზე, ხალხზე ფიქრობს, დანარჩენებს ქვეყანა არ აინტერესებთ.

ორი დღის წინ ანანურიდან ჩამოვედი და ტელე-ეკრანზე თინათინ ბოკუჩავას ვუსმენდი, გარეგნულად თითქოს არაუშავს, მაგრამ მისი ყბედობა ყოვლად აღმაშფოთებელია. სოროსის სკოლაგამოვლილია, სადაც ასწავლეს რომ მოწინააღმდეგეს საუბარი არ უნდა დააცადო და ყველაფერი დააბრალო რაც ენაზე მოგადგება. ეს ქალი თავიდან ბოლომდე ამორალიზმია. ყველაზე დიდი ბოროტება რაც სააკაშვილმა სხვა დანარჩენთან ერთად გააკეთა ისაა, რომ ასეთი ხალხი დაგვიტოვა. მან ისიც კი უარყო რომ მისი თავკაცის რეჟიმი ხალხს ქუჩაში ხოცავდა, ეს არარსებული ფაქტია, რა მოიგონეთო — უთხრა გედი ფოფხაძეს. თურმე, არარსებულა ის, რომ მთელს სამეგრელოში ჭურები დატენილი იყო ამაზრზენი კადრებით. ჩემი თვალით მაქვს ენით აუწერელი კადრები ნანახი — როგორ აუპატიურებს ვიღაც კოჭლი მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილის წინაშე მამაკაცს. გაუპატიურების თავი რომ აღარ ჰქონდათ ვიაგრას საძებნელად დარბოდნენ. ეს არცერთ ფაშისტს არ გაუკეთებია. ბოკუჩავამ კიდევ ერთი „სიბრძნე“ ბრძანა: „ქართული ოცნების“, ეკა ბესელიას ყველაზე დიდი დანაშაული ისაა, რომ პატიმრები ციხიდან გამოუშვეს და შედეგად, ყაჩაღობამ იმატაო. თუ „ქართულმა ოცნებამ“ რამე დადებითი გააკეთა, სწორედ ისაა, რომ სამასამდე პოლიტ. პატიმარი გაათავისუფლა, რომლებიც თინა ბოკუჩავასნაირი ნაძირლების წყალობით თურმე ტყუილად ისხდნენ ციხეში.

— როგორ დავძლიოთ ეს კრიზისი?

— ეს საკმაოდ რთული იქნება იმიტომ, რომ შეტევა ორმხრივად ხდება როგორც ფიზიკურად და სულიერად. ფიზიკურია არსებული დემოგრაფიული კატასტროფა. საქართველოში ცოტა ხანში უფრო მეტი უცხოტომელი იქნება, ვიდრე ქართველი. რატომ ხდება ასე? სანდრა რულოვსი, რომელიც ადამიანის ორგანიზმის ნაწილებით ვაჭრობდა, სოფელ-სოფელ დადიოდა და ქართველ ქალებს შთააგონებდა ორ შვილზე მეტის გაჩენა არ გინდათ, ღორები ხომ არ ხართო. მეორეც, ეკონომიკური მდგომარეობა მიწასთან გასწორდა, რაც მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ძალისხმევით მოხდა. ამ ორგანიზაციებს ლა როში ფაშისტურს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს უწოდებს, რომლებიც სხვადასხვა ხალხების დამონებას ცდილობენ. შევარდნაძის წყალობით, განვითარებადი ერის სტატუსი მივიღეთ, რაც გარკვეულ შეზღუდვებს ნიშნავს. თავისუფლება ჯართის გატანაში მოგვანიჭეს. მთელი ქარხნები დაინგრა და რკინეული ჯართად გაიტანეს. ადგილობრივი ეკონომიკური წარმოებაც აგვიკრძალეს. ხომ გახსოვთ, ბრძანება ვენახების აჩეხვის თაობაზე და საზამთროს დათესვაზე. ეს შაჰ-აბასსაც არ გაუკეთებია. საბედნიეროდ, ხალხი აჯანყდა და ამას ვერ მიაღწიეს. მესამე, სოფელი დაცარიელდა, 230 სოფელი მთლიანად დაცლილია. ილია ამბობდა: თუ სოფელი მოკვდება, ქართველი ერიც დაიღუპებაო. როგორც გითხარით, ერთი კვირით ანანურში ვიყავი, ხალხი შრომას გადააჩვიეს, დილიდან სმას იწყებენ. ანანურში 80-მდე ძროხა იყო, დღეს მხოლოდ 3-4 კაცს ჰყავს. სოფელში, წესით, რძე, მაწონი, წიწილა, კვერცხი უნდა იყიდებოდეს და არა სალეჭი რეზინი. ამან გამოიწვია გადინების პროცესი, რასაც ხელისუფლებები ყურადღებას არ აქცევენ. ქართველი ლუკმის საშოვნელადაა გასული, იქედან კი უცხოტომელი შემოდის. ჩემი თვალით მაქვს ნანახი დედოფლისწყაროში ქართველი გლეხი როგორ იღებს ინდოელისგან იჯარით მიწას და მას კაპიკებში უხნავს. ეს ხომ ერის დაღუპვაა. როდემდე შეიძლება ჰაერში ვიყოთ გამოკიდებული. არ არსებობს ერი, რომელიც მიწას არ უფრთხილდება. ილია ამბობდა: ადამიანს რაღაც ეშლება რისი პატიებაც შეიძლება, მაგრამ კაცი ვინც თავის მიწას ჰყიდის ის დედას ჰყიდის და მისი პატიება არ შეიძლება, მას ერი დაწყევლისო. რასტის უზნეობის მარგალიტების ცვენაა. აგერ, ალასანიას პარტიამ ისეთი ქალბატონის კანდიდატურა შესთავაზა ერს, რომლის კადრებმაც თავი მოჭრა მთელს საქართველოს. ეს კადრები მარტო აქ კი არ ნახეს, არამედ უცხოეთშიც. აქედან გამომდინარე, ზნეობა, ოჯახი აღარ არსებობს. რაც მთავარია, განათლებას, მეცნიერებას, ხელოვნებას მიადგნენ. ქართველი კაცი უპირველეს ყოვლისა, პოეტია, ხელოვანია. ამათ, მინისტრად ჯაზისტი გიორგაძე მოიყვანეს. ვინ იყო გიორგაძე? — მიშას მარჯვენა ხელი. რა უნდა ამას კულტურის მინისტრად? ან რა უნდოდა განათლების მინისტრად თამარ სანიკიძეს, რომელიც ამბობს, მეცნიერება და განათლება არ მაინტერესებსო. დღეს, ჩაატარეს გამოცდა და აღმოჩნდა, რომ ქართველი ბავშვები — მე-10, მე-11 კლასელები წაკითხულს ვერ იგებენ, აკაკის და ვაჟას ერთმანეთისგან ვერ არჩევენ. რა ხდება, როგორი სიბნელე დაასადგურეს? ახლა, შევხედოთ უნივერსიტეტში ვინ ჩაატარა რეფორმა — ავადმყოფმა ლევან რამიშვილმა. ღირსეული მეცნიერები გაყარეს და უნიფხვო გოგო-ბიჭები მოიყვანეს, რომელთაც წიგნი დაწერილი კი არა, არამედ წაკითხულიც არ აქვთ. ავადმყოფმა კილურაძემ შევარდნაძის დროს არჩევნები გააყალბა. იგი პირველი გამყალბებელია, არაკანონიერი ფულის გატანისთვის ორგზის იქნა საზღვარზე დაკავებული. ასეთმა კაცმა მეცნიერებათა

აკადემიის პრეზიდენტობა მოინდომა, მაგრამ არ გაუვიდა. მერე, ახალი პროგრამა შექმნა, პარლამენტში შეიტანა, 150 აკადემიკოსი ამის წინააღმდეგი იყო და მაინც ერთხმად გავიდა საკითხი. სააკაშვილმა მოახერხა და მთელი ნიჭიერი ახალგაზრდობა ქვეყნიდან გაიყვანა, რომელთაც სამშობლო აღარ უნდათ. ეს ავადმყოფი მარგველაშვილი, პოლიტიკურ არენაზე გამოდის. არც კი ერიდება ისე ქმნის პოლიტიკურ ცენტრს, თავად მზეა და მის გარშემო ვარსკვლავებს იკრებს „გირჩების“, „რესპების“, „ნაცებისა“ და სხვათა სახით. იგივე, რა დღეშია ბურჭულაძე. მომღერლად არაუშავდა. რატომ წავიდა

პოლიტიკაში? – იმიტომ, რომ სააკაშვილთანაა შეკრული. ცალკე მარგველაშვილია მიშასთან შეკრული და ცალკე ბურჭულაძე. მისი ფონდიდან 7 მილიონიდან 4 მილიონამდეა დახარჯული ქველმოქმედებაზე, სამ მილიონამდე თანხა გამქრალია.

– მარგველაშვილის არენაზე გამოსვლა ცოტა უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ. ხომ არ ემზადება იმისთვის, რომ 9-ში არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადოს, აიყოლიოს ვარსკვლავებად შემოკრებილი პარტიები და ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანოს?

– – სამწუხაროდ, ვერ მივაღწიეთ, რომ გარკვეული ეროვნული ძალები გაერთიანდნენ. ყველას თავისი პრეტენზია აქვს და თავი აქვთ აწეული. სჯობს თავი დახარონ, ქართულ მიწას, ქართველ ხალხს შეხედონ და გაერთიანდნენ, თორემ ვიღუპებით. ეს პარლამენტი წავა და უარესი მოდის. „რესპუბლიკელები“, „ნაციონალები“ გახსნილად მაინც მოქმედებდნენ, ახლა მოდის შეფარული ხალხი, რომელიც შეფარვით უარესს გააკეთებს. ეს სისტემა კვლავ მუშაობს და ქართველი ხალხის სულს ხრავს. ქართველ ხალხს ჭკუა და გონება უნდა ეყოს და ვიღაცის ჯინაზე არ უნდა გადაწყვიტოს ხმის მიცემა. ზოგი ფიქრობს, „ქართული ოცნების“ ჯინაზე „ნაცებს “ უნდა მივცე ხმაო. ამ სიბნელიდან უნდა გამოვიდეთ. გონს მოვუხმოთ. „ნაცები“ თუ დაბრუნდნენ არავის ეგონოს რომ მხოლოდ გაუპატიურებებს დასჯერდებიან, მათ რევანში სწყურიათ. გაუპატიურებები მონაგონი იქნება. ენა უბრუნდებათ და ივანიშვილზე ამბობენ, ქველმოქმედი არ არისო. მასთან ოდნავ მიახლოებული ერთი ქველმოქმედი მაინც დამისახელონ თუ შეუძლიათ. პირდაპირ ვამბობ: თუ ეს მაიდანი გაიმართება, კალმის მეტი ხელში არაფერი მჭერია, ბევრი ქართველი იარაღს აიღებს, მათ შორის, მეც და მაიდანს დავავიწყებთ, ვაჩვენებთ როგორ უნდა ქვეყნისთვის ბრძოლა.

პრესის თავისუფლება ირღვევაო. „რუსთავი-2“-იც თავისუფლების ტრიბუნა ყოფილა. თუ საქართველოში რამე აუგი მოხდა, „რუსთავი-2“-ის წყალობითაა. თუ საქართველო იღუპება, ესეც მათი წყალობაა. გვარამიას წვერი მოუშვია და რას როშავს თვითონაც არ უწყის. ამ ტელევიზიაში მამათმავლები და დედათმავლები არიან შეკრებილნი, სუყველა უნდა განდევნო საქართველოდან „ნაციონალების“ თამადობით.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ჩემი ცხოვრებისეული პრინციპი არის დემოკრატია და გუნდურობა და რომელ სფეროშიც არ უნდა ვიმუშაო, ეს პრინციპები არ შეიცვლება

3 გვ.

ბა თუ თამაშის მონაწილეები დამატებით, განსაკუთრებული უნარებს ფლობთ?

– „რა, სად, როდის?“ სპეციფიური თამაშია,სადაც წარმატებისთვის მხოლოდ ცოდნა საკმარისი არაა.რა თქმა უნდა, ცოდნა და განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ თამაშისთვის დამახასიათებელია ლოგიკური აზროვნების, გუნდური მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკისთვის. აი, ამ უნარების გამო აღმოჩნდნენ ინტელექტკლუბის წევრები პოლიტიკაში. გარდა ამისა, მოაზროვნეები არიან აქტიური ადამიანები, რომლებიც ცხოვრების რაღაც ეტაპზე იღებენ გადაწყვეტილებას, რომ საკუთარი ენერგია ქვეყნის განვითარებას პოლიტიკაში ჩართვის გზით მოახმარონ. **– ინტელექტკლუბის წევრებთან ურთიერთობა გაქვთ?**

– ჩვენ ვმეგობრობთ ერთმანეთთან. უმეტესობა ჩემი მეგობარია, თუმცა ეს ხელს არ უშლის ჩვენს პოლიტიკურ საქმიანობას.

– მეგობრობას?

– ვფიქრობ, არც მეგობრობას უნდა შეუშალოს ხელი.

– ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ, რომ პასუხისმგებლობას იღებთ ყველა გადაწყვეტილებაზე, რომელიც „ქართულ ოცნებას“ დღემდე მიუღია ან მომავალში მიიღებს. შეიძლება თუ არა, რომ ეს ისე გავიგოთ, რომ მმართველი გუნდის მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას ეთანხმებით?

– გუნდის წევრობა ნიშნავს, რომ მთლიანად იმ გუნდის ნაწილი ხდები და პასუხისმგებელი ხარ მის საქმიანობაზე, მიუხედავად იმისა, კონკრეტულ მომენტში, საერთო გადაწყვეტილებას ეთანხმები თუ არა. ჩვეულებრივი, ორგანიზაციული ეთიკის ნაწილია, რომ თუ ორგანიზაციის ნაწილი ხარ, ამ ორგანიზაციის მოქმედებებზე პასუხისმგებლობა უნდა აიღო.

– მოგეხსენებათ, რომ ქართველი ახალგაზრდებისთვის დასაქმება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ისიც გეცოდინებათ, რომ ამ პრობლემის გამო, უამრავი ახალგაზრდა ქვეყნიდან მიდის. მცირე ბიზნესისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, როგორ გესახებათ ამ პრობლემასთან გამკლავება?

– ზოგადად, განვითარებულ ქვეყნებში მიკრო და მცირე ბიზნესზე დასაქმებული ადამიანების დაახლოებით 70% მოდის. რა თქმა უნდა, საქართველოში ეს ციფრი შედარებით ნაკლებია. ამიტომ, იმისათვის, რომ დასაქმების პრობლემა მოვაგვაროთ, ვფიქრობ, მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ჩვენი მთავრობა ამ მიმართულებით უამრავ კარგ პროგრამას ახორციელებს. მაგალითად სტარტაპების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ახლახან დაიწყო, გათვლილია ბიზნესის განვითარებაზე და განსაკუთრებით, ახალგაზრდების ჩართულობაზე. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა წამოიწყონ თავიანთი საქმე, განავითარონ ბიზნესი, იყვნენ წარმატებულები აქ, ჩვენს ქვეყანაში და აღარ გაუჩნდეთ სურვილი, რომ წარმატების საძიებლად სხვა ქვეყანაში წავიდნენ.

საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ ჩემი ცხოვრებისეული პრინციპი არის დემოკრატია და გუნდურობა და რომელ სფეროშიც არ უნდა ვიმუშაო, ეს პრინციპები არ შეიცვლება.

– წარმატებას გისურვებთ.

ნელი თორდია
571 35 36 88

სოსო მანჯავიძე:

ოვერტონის ფანჯარა გაალეს და ახლა ჩვენ ვცდილობთ, ეს ფანჯარა მივხუროთ

გვესაუბრება საკრებულოს დეპუტატი, ბატონი სოსო მანჯავიძე

— ბატონო სოსო, როგორც ვიცით, ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვის დაკანონების მოთხოვნით ხელმოწერები ცსკო-ს უკვე ჩააბარეთ, თუმცა ხელმოწერათა რაოდენობა, როგორც აღნიშნავენ 224000-ზე მეტია, ქართულ საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ თქვენი გულმოდგინება ჭიქაში ქარიშხლის ატეხას ჰგავს — საქართველოში ამ კუთხით საგანგაშო ვითარება არაა.

— მოდით, დავაზუსტოთ, ცსკო-ში ჩვენ შევიტანეთ 22 4000-ზე მეტი ხელმოწერა და სანამ დარეგისტრირდებოდა ჩვენი განაცხადი, ამასობაში კიდევ 50 000 შეგროვდა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მთელი წლის განმავლობაში პარლამენტის უმრავლესობას, ანუ „ქართული ოცნების“ ფრაქციას, თუ უნდოდათ, ეს საკითხი გაესწორებინათ, მოეყვანათ შესაბამისობაში კონსტიტუცია და სამოქალაქო კოდექსი, მით უფრო, რომ იყო ინიციატივა ზვიად ტომარაძის მიერ შეტანილი, იყო სხვა მცდელობებიც, ვერ მოხერხდა ამ საკითხის ინიცირება, რადგან იყო ერთი მხრივ, რესპუბლიკელების წინააღმდეგობა და მეორე მხრივ, ნაციონალებთან დაპირისპირება. ქალბატონი მანანა კობახიძის ბოლოდროინდელი განცხდებაც გავიხსენოთ და მივხვდებით, რა ტიპის ზეწოლები შეიძლება ყოფილიყო ამ თემასთან დაკავშირებით. ეს იყო ერთიანი მესიჯი, რომ საკითხი არ არის აქტუალური, მაგრამ თუ აქტუალური არაა, რატომ გამწარდნენ ასე ძალიან?! მით უმეტეს, რომ სახელმწიფოს ამ გამოკითხვებში ერთი თეთრიც არ დაუხარჯავს. რეფერენდუმის იდეა სპეციალურად დავამთხვიეთ არჩევნებს, რომ გამოირიცხოს საბიუჯეტო ხარჯები. მაგრამ რას შეიძლება მივაწეროთ ეს წინააღმდეგობა, ვინ ატეხა „ქარიშხალი ჭიქაში“? ვინ და ამათ.

სამწუხაროა, რომ ოპონენტებს ელემენტარული სამართლებრივი აზროვნება არ გააჩნიათ, გამოდიან და ლაპარაკობენ აბსურდებს.

— უცოდინარობის გამო ვერ ხედავენ ასეთ დიდ საფრთხეს?

— ზოგმა იცის, რაშიცაა საქმე და შეგნებულად აკეთებს, ზოგმა არაფერი არ იცის, მაგალითად, არც კანონთა იერარქიის შესახებ სმენია რამე, არც იმაზე, რომ შეიძლება არსებობდეს კაზუსები, ხოლო კაზუსის გასწორება ქვეყნის უზენაეს კანონს — კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსს შორის აუცილებელია, თუნდაც პროცედურულად. საქმე ისაა, რომ ფაქტობრივად, ზედაპირზე დევს ამათი წინააღმდეგობის მიზეზები.

— რა არის ეს მიზეზები?

— ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაცია უკვე მსოფლიოს 21 ქვეყანაში არის დაკანონებული. კერძოდ, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ-ი. ამ ქვეყანაში შტატების წინააღმდეგობა რომ ვერ დაძლიეს, უმაღლეს სასამართლოში მიიღეს გადაწყვეტილება. დღემდე უდიდესი წინააღმდეგობებია და ეს წინააღმდეგობები არა მხოლოდ შტატების პრობლემაა, არამედ ქმნის გეოპოლიტიკურ პრობლემებს იმასთან დაკავშირებით, რომ ისლამური სამყაროს და არა მარტო ისლამური, საერთოდ, ტრადიციული სახელმწიფოებისთვის ეს მიუღებელია — ერთსქესიანთა ლტოლვას, ერთმანეთისკენ პირდაპირ შაითანის, ეშმაკის მსახურებად თვლიან.

მიუღებელია ასეთი უკუღმართობა აფრიკული ქვეყნების მაცხოვრებელთათვისაც. მაგალითად, რობერტ მუგაბემ ობამას სარკასტულად სთხოვა, ცოლად გამომყევიო. იგივე განწყობებია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ჯო ბაიდენისა და ჯონ კერის პირით ნეოლიბერალური ძალები პირდაპირ გვეუბნებიან, რომ ამერიკული კეთილგანწყობა ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ, დამოკიდებული იქნება იმაზე, რა უფლებრივ პრივილეგიაში აღმოჩნდებიან ქვეყნებში სექსუალური უმცირესობები.

დიახ, ადამიანის უფლებების გაგების ასეთი ინტერპრეტაცია სრულიად მიუღებელია ტრადიციული საზოგადოებებისთვის და მათ შორის, ჩვენთვის.

გასაგებია, რომ დღეს საქართველოში ეს საკითხი არ დგას გადაულახავ პრობლემად, მაგრამ ასე იყო ადრე შეერთებულ შტატებშიც. რეიგანის პრეზიდენტობისას ვინ წარმოიდგენდა, რომ აშშ-ის არმიაში ასეთი მდგომარეობა იქნებოდა, ვინ წარმოიდგენდა, გენდერული მარკერების მიხედვით ტუალეტების მშენებლობაზე თუ მივიდოდა საქმე. აბზურდის თეატრად იქცა ყოველივე ეს და ამას, პირველ რიგში, მშვენივრად ხედავს ამერიკელი მოსახლეობა. ჩაკ ნორისმა გამოთქვა ახლახან სასტიკი პროტესტი ამ მოვლენის წინააღმდეგ და არა მხოლოდ ჩაკ ნორისმა, ინტელექტუალების საპროტესტო პლასტია გაშლილი ამერიკაში.

— არის ზოგჯერ ხელოვნურად შექმნილი საკითხები, რომლებიც დიდი მცდელობის მიუხედავად საზოგადოებაში ფეხს ვერ იკიდებს. არის კანონებიც, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ არააქტუალურობის გამო უფუნქციოდ რჩება.

— ამ საკითხში ღრმად ჩავიხედე და უნდა გითხრათ, რომ ახალგაზრდობის ძალიან დიდი სეგმენტის ცნობიერება სწორედ განათლების სისტემაში და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მიმდინარე ფარული და ღია პროპაგანდის გამო მენტალურად დეგრადირებულია, ხოლო მენტალობის შეცვლა, როცა ის ახალგაზრდულ ასაკში ყალიბდება, თითქმის შეუძლებელი ხდება.

სულაც არ მაქვს იმის მისწრაფება, რომ მუდმივად ვიმყოფებოდე კასანდრას მდგომარეობაში. არ მინდა ცუდი ამბის მაცნე ვიყო, მაგრამ როდესაც ნათლად ხედავ პროცესს, სხვაზე რაზე უნდა ილაპარაკო, თუ არა იმაზე, რა საფრთხეების წინაშე დგას საზოგადოება.

— რა სასიკეთო შედეგები მოჰყვება იმას, თუ რეფერენდუმის შედეგად კონსტიტუციაშიც ჩაიწერება, რომ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება ლეგალიზებული არ არის?

— ეს ნიშნავს, რომ ლგბტ საზოგადოების ლობირებისთვის თანხები უცხოეთიდან აღარ წამოვა, მედიაც დაანებებს თავს ამ სრულიად უსარგებლო და შეურაცხმყოფელი თემების გაშუქებას და გადავა რეალურ პრობლემზე.

— ბატონო სოსო, ლგბტ თემის წარმომადგენლები ყოველთვის იყვნენ საქართველოში, მაგრამ მათ არავინ სდევნიდათ. ვისაც შეუძლია, დღესაც იცხოვრონ ერთად, ხელს არავინ უშლით, რატომ იბრძვიან ასე გაცხარებით ქორწინების ლეგალიზაციისთვის?

— საინტერესო შეკითხვაა.

ქორწინების დაკანონება არის ფუნდამენტური ნაბიჯი, რომლის შემდეგაც იცვლება, ზოგადად, ამა თუ იმ ტრადიციული საზოგადოების უფლებრივი, სამართლებრივი და საერთოდ, სახელმწიფოებრივი საყრდენები. გადავდივართ მენტალობის სულ სხვა სტადიაზე.

პრინციპში, ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ მოხდეს ადამიანის მნიშვნელობის ნიველირება, რაც დაამკვიდრა ქრისტიანულმა რელიგიამ და არა მხოლოდ ქრისტიანულმა. აბრაამიტული და ასე ვთქვათ, საღვთო რელიგიების მოდელის დანგრევა ხდება სწორედ ამ მეთოდით.

ერთი წუთით დავფიქრდეთ და მოვუწოდოთ მათ, რომელთაც

ფიქრი არ უნდათ, 70-იანი წლებიდან ჰომოსექსუალიზმი ამოიღეს ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ დაავადებათა ნუსხიდან, ამ პრობლემის შესახებ აშშ-ში 2-3-%-მა თუ იცოდა. მერე დაიწყო ამ პროცესის აგორება ზვავივით და ახლა რაც ხდება აშშ-ში ყველა კარგად ვხედავთ. ეს პარაზიტული ჩვევა თუ რაც გინდათ დაარქვით, ისე მოქმედებს, როგორც ნებისმიერი დაავადება ცოცხალ ორგანიზმში, ანუ პროგრესირდება და ფართოვდება. ამ პროცესს მე ობიექტურს ვუწოდებ. როდესაც საქმე გვაქვს გადახრასთან, უზნეობასთან, ეს უზნეობა, განსაკუთრებით მიისწრაფვის მისნაირებთან გამრავლებისკენ. მიკრო და მაკრო სამყაროების კანონზომიერებები გავითვალისწინოთ, ადამიანიც ჩართულია სამყაროს ამ კანონზომიერებებში.

როგორც ზემოთაც ვთქვი, 70-იან წლებში ჰომოსექსუალიზმის, ამ ჭირის შესახებ თვით ამერიკაშიც კი, შეიძლება ითქვას, 2%-მა იცოდა, რეიგანის და ბუშების ეპოქის დასრულების მერე ამ პრობლემის აფეთქება დაიწყო და მივიღეთ ის, რომ დღეს აშშ-ის სასამართლომ მიიღო გა-

დაწყვეტილება ერთნაირი სქესის ადამიანთა ქორწინების აუცილებელი რეგისტრაციის შესახებ, ანუ ის, რაც წარმოუდგენელი იყო 70-იან წლებში, ოვერტონის ფანჯრის კანონზომიერების მიხედვით, ახლა გახდა ნორმა და არათუ ნორმა, ამ ნორმის დარღვევა სანქციებს იწვევს. დიახ, ეს მოხდა ისეთ უძლიერეს და უზარმაზარ ქვეყანაში, როგორიც არის ამერიკა.

— ბატონო სოსო, ბოლო წლებში საქართველოშიც მომრავლდნენ ე. წ. არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები. რას ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

— ეს განაპირობა თემის ტირაჟირებამ საინფორმაციო საშუალებებით. ტელევიზიები ხშირად აკეთებენ ეგრეთ წოდებულ რეიტინგულ შოუებს ჰომოსექსუალისტების მონაწილეობით. ეს რეკლამირებული პროპაგანდა განსაკუთრებით შეეხო ახალგაზრდა თაობას.

ხელმოწერების შეგროვებისას ყველაზე თვალსაჩინო გახლდათ გავლენები საზოგადოების ფენებზე და აღმოჩნდა, რომ ამ მენტალური წნეხის მსხვერპლნი, როგორც ვთქვი, განსაკუთრებით ახალგაზრდები აღმოჩნდნენ.

ამიტომაც იბრძვიან ასე გააფთრებულად — მოსაპოვებელი ნაწილობრივ უკვე მოიპოვეს. ოვერტონის ფანჯარა გააღეს და ახლა ჩვენ ვცდილობთ, ეს ფანჯარა მოვხუროთ.

ლაპარაკობენ, თითქოს ეს პრობლემა არ არსებობს, არადა, როგორ არ არსებობს, როცა რეალობა ჩვენს თვალწინ არის. მერე მიზეზად მოიტანეს, ვითომდა, ვინც ერთსქესიანთა ქორწინების რეგისტრაციას ეწინააღმდეგება, რუსული ნარატივის გამავრცელებლები არიან. მათი შეხედულებით:

უნდა დაკანონდეს ერთნაირსქესიანთა ქორწინებები;

უნდა გაიყიდოს ქართული სასოფლო-სამეურნეო მიწები უცხოეთის მოქალაქეებზე;

უნდა შემოვიტანოთ გენმოდიფიცირებული პროდუქტები;

უარი უნდა ვთქვათ მართლმადიდებლობაზე;

უარი უნდა ვთქვათ სამართლის საბაზისო ცნებებზე,სამართალი დავუქვემდებაროთ პოლიტიკურ კონიუქტურას;

მედიას უნდა ჰქონდეს ტყუილის ტირაჟირების უფლება დაუსჯელად;

ცილისწამება უნდა მივიჩნიოთ გამოხატვის თავისუფლებად;

მოსახლეობას არ უნდა ჰქონდეს თავისი ნების გამოხატვის უფლება რეფერენდუმით;

უმცირესობა უნდა მართავდეს უმრავლესობას;

ერს არუნდა ჰქონდეს კოლექტიური მოქმედების უფლება; და ა.შ

რაც შეეხება ჩვენს ნეოტროცკისტ-ლიბერალებს, ბევრი მათგანის მდგომარეობა გასაგებია ადამიანურად, ისინი ამით ჭამენ პურს, პატრონები სხვა გამოსავალსაც არ უტოვებენ.

გაიხსენეთ, რას ეუბნება იაკობ ხუცესი სენაკაპანს, რომელსაც ეშინია, რომ ვარსქენი მოკლავს დატუსაღებულ შუშანიკთან რომ შეუშვა და ეუბნება: "უკუეთუ მოგკლას,რაი არს შენთვის,არა მისი გაზრდილი ხარა? ანუ ვინც აჭმევდა, მისთვის სიკვდილი ბუნებრივად მიიჩნეოდა მაში.

გულწრფელად თანავუგრძნობ ამ ადამიანებს, მათ სარჩოს ნაცვლად სულიერ გადაგვარებას

და ამის სხვებისთვის თავსმოხვევას სთხოვენ..

ეს ლიბერალიზმის იმდენად მარგინალური ტრენდია, რომელიც დასავლეთში კარგა ხანია უკვე დაძლეულია, თუნდაც ინტელექტუალურ დონეზე. აქ კიდევ ნეოლიბერალური თეორიის აპოლოგეტები არიან ისეთი ხალხი, რომლებსაც რაღაც ინფორმაცია ჩაუდეს თავში, თეორია, რომელიც პირდაპირ ემსახურება ტრანსნაციონალური კორპორაციების დაკვეთებს მესამე ქვეყნების წინააღმდეგ. ამას უნდა ცოდნა, ამას უნდა გააზრება, მაგრამ არავინ არაა გამაზრებელი და შემცნობი ამ საფრთხის, ყბედობენ ტყუილად და მთავარ საშიშროებას ვერ აღიქვამენ.

— ჩვენი „მდიდრული სექსის" მქონე პრეზიდენტი ბოლო ხანებში ძალიან არათანმიმდევრულად და არაადეკვატურად იქცევა, ეჭვები გვაქვს, ვინც ურევს ტვინსა და

თავგზას, მაგრამ თქვენ გაქვთ იმედი, რომ ბატონი მარგველაშვილი დასთანხმდება და მოაწერს ხელს რეფერენდუმის ჩატარებას?

— მარგველაშვილმა უნდა მოახერხოს და 8 აგვისტომდე გადაწყვიტოს მოაწერს თუ არა ხელს რეფერენდუმის ჩატარებისთვის აუცილებელ დოკუმენტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა ღონისძიებებს მივმართავთ, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, როცა პრეზიდენტის არჩევა ხდება, ვინც არ უნდა გვირჩიოს და ვინც არ უნდა გასწიოს რეკომენდაციები, თვითონ უნდა გადავხედოთ ადამიანის პირად ცხოვრებას. პირადი ცხოვრება და ადამიანის წარსული არის მის მიმართ პოზიციის გამომუშავების კრიტერიუმი. შეიძლება რეკომენდატორმა არ იცის კონკრეტული ადამიანის წარსული, ამიტომ უნდა გაიგო, გაარკვიო და ისე მისცე ხმა, ისე უნდა აირჩიო.

— არსებობს საზოგადოებაში იმის მოლოდინი, რომ, შეიძლება, პრეზიდენტმა, თუკი რჩევნების შედეგებით თვითონ ის და მისი გარემოცვა კმაყოფილი არ დარჩება, ეს არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადოს.

— გასაგებია, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი არაა თავისუფალი გავლენებისგან და ძალიან მეეჭვება, მას გულით უნდოდეს, რასაც აკეთებს.

ის არ არის დამოუკიდებელი პირი, მეტიც, ის ტრაგიკული ფიგურაა პოლიტიკურ სარბიელზე.

— ეს მისი არჩევანია?!!

— ამიტომაც გითხარით, ადამიანის წარსულს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ასე რომ ყოფილიყო, დღეს ის კითხვები, რაც ისმება და რასაც მისვამთ თქვენ პრეზიდენტის შესახებ, უბრალოდ, არ დაისმებოდა, არავის მოუვიდოდა აზრად რომ, შეიძლება, არჩევნების შემდეგ პრეზიდენტმა რევოლუცია გამოიწვიოს. უცნაურია, არა? მეც უცნაურად და ტრაგიკულად მეჩვენება, მაგრამ მედია სულ ამაზე ლაპარაკობს — რას იზამს მარგველაშვილი თავის გარემოცვასთან ერთად. ეს არ არის ნორმალური მდგომარეობა!

რეალობა კი პოლიტიკურ ველზე ძალიან მძიმეა.

საქმე გვაქვს შეცდომების რიგთან, რომელიც დაკავშირებულია საკადრო ქაოსთან — როდესაც ერთ საკადრო შეცდომას უშვებ და ხელმძღვანელს ნიშნავ, მას მოჰყვება პრობლემების კასკადი და თუ ამ კრიზისს დროზე არ ეშველა, როგორც ჭაობში, ისე ჩაიძირები.

დიდი ეჭვი მაქვს, სანდრა რულოვსი მოიგებს არჩევნებს ზუგდიდში.

ამავე დროს, თუკი ქალბატონი რულოვსი გაიმარჯვებს, სააკაშვილი ტრიუმფით აპირებს დაბრუნებას.

იგივე სიტუაციაა აჭარაშიც.

ვარშალომიძის დაბრუნება და საკადრო ვაკხანალია აჭარაში არ იქნება სიკეთის მომტანი.

ასე ვფიქრობ მე, იქედან გამომდინარე, რასაც ვხედავ და საერთოდ არ მაქვს სურვილი, ალარმისტული განცხადებები ვაკეთო. მძიმე ვითარებაა დასავლეთში, ზოგადად. ძალიან მეეჭვება ასევე, გურიაში არჩევნებმა მშვიდად ჩაიაროს. წარმოვიდგინოთ, რა შეიძლება მოჰყვეს იმას, რომ რეგიონებში „ნაცმოძრაობამ" გაიმარჯვოს მაშინ, როცა ნაჯახივით ჰკიდია გეოპოლიტიკური პრობლემატიკა ჩვენ თავზე.

დღეს ჩვენი ზეამოცანაა, მშვიდობა და სტაბილურობა შევინარჩუნოთ ქვეყანაში საერთო ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

რაც შეეხება პრეზიდენტს, თუ არ ექნება საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელების საშუალება, არც გააკეთებს. თქვენ გგონიათ, უხარია, რასაც აკეთებს? სახეზე აწერია, რომ იტანჯება კაცი. საერთოდაც, ერთი ინიციატივა დამისახელეთ, რომელიც წამოაყენა ქვეყნის სასარგებლოდ. არაა ეს კაცი საპრეზიდენტო პირი, არც პლასტელინია და არც კირქვა. უბრალოდ, ფუფუნების მოყვარული ადამიანია, რომელსაც კარგი ცხოვრება გაუტკბა ჩვენს ხარჯზე, საბოლოო შედეგი კი კვლავ ქართველი ხალხის თავში სახლელი იქნება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გიორგი კვირიკაშვილი:

როდესაც ქვეყანას ასეთი რესურსი და პოტენციალი აქვს, უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობები იმისათვის, რომ ადამიანების ცხოვრება მაქსიმალურად შევცვალოთ უკეთესობისაკენ

„თქვენი გვერდში დგომა დიდი ძალაა ჩვენთვის; ეს გვმატებს რწმენას, რომ რასაც ვაკეთებთ თქვენთვის, ხალხისთვის, სწორად ვაკეთებთ“, - ამ სიტყვებით პოლიტიკური გაერთიანება **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“** თავმჯდომარემ **გიორგი კვირიკაშვილმა** რუსთავში შეკრებილ მოსახლეობას მიმართა და ქვემო ქართლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარუდგინა. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რუსთავის 29-ე ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია **პაატა მხეიძე**, 30-ე ოლქში კი – **გიორგი ბეგაძე**. წალკასა და დმანისში „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს **პაკა ოქრიაშვილი**, ბოლნისში **გოგა მეშველიანი**, გარდაბანში – **სავალან მირზოევი**, თეთრიწყაროში – **გოდერძი ჩანქსელიანი**, მარნეულის 35-ე ოლქში – **რუსლან გაჯიევი**, ხოლო მარნეულის 36-ე ოლქში – **თამაზ ნავერიანი**. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას ქალაქ რუსთავის საინჟინრო და სამრეწველო პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება და იმედი გამოთქვა, რომ რუსთავი დაიბრუნებს თავის მნიშვნელობას, თავის როლს და ეს იქნება უკვე თანამედროვეობას მორგებული ქალაქი დიდი თუ მცირე საწარმოებით; კიდევ უფრო განვითარებული ინფრასტრუქტურით, რომელიც წვლილს შეიტანს მთელი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში.

„როდესაც ქვეყანას ასეთი რესურსი და პოტენციალი აქვს, უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობები იმისათვის, რომ ადამიანების ცხოვრება მაქსიმალურად შევცვალოთ უკეთესობისაკენ. უკეთესი ცხოვრებისკენ გზა ჩვენი ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე გადის. ამიტომაც ჩვენ შემუშავებული გვაქვს ახალი ინიციატივები და გეგმები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელი პირობაა ქვეყნის ეკონომიკის ამუშვებისთვის“, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ხელისუფლების მიზანია, სრულად გამოიყენოს ამ რეგიონის სამეწარმეო პოტენციალი და ყველა შესაძლებლობა შექმნას, რათა საკუთარი შრომით მიღებული კეთილდღეობა მოსახლეობის ოჯახებში მალე შევიდეს. „ჩვენ საქართველოში ახალ შესაძლებლობებს ვქმნით! სწორედ ამიტომ დავიწყეთ მსხვილბიუჯეტიანი სხვადასხვა სამეწარმეო პროექტი, რადგან კარგად გვესმის, რომ, პირველ რიგში, საჭიროა, ქვეყანაში სამეწარმეო სულისკვეთების გაჩენა და დამკვიდრება. დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენი ხალხის ცნობიერებაში მოხდება გარდატეხა და დავინახავთ, დავრწმუნდებით, რომ მეწარმეობა საკუთარი შესაძლებლობის რეალიზებისა და კეთილდღეობის მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა, შედეგებსაც მალე ვნახავთ. სახელწიფოს მხრიდან იმათი ხელშეწყობა, ვისაც დღეს არა აქვს საკუთარი ფინანსური რესურსი და აქვს პერსპექტიული ბიზნეს-იდეები, ძალიან საჭირო და აუცილებელი საქმეა. ეს ბევრ ადამიანს მისცემს საშუალებას დაიწყოს ან გააფართოოს ბიზნესი, დაეხმარება მათ გამოავლინონ და ქვეყანას მოახმარონ საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობები და ინოვაციური იდეები განახორციელონ“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. პრემიერ-მინისტრმა დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის გზებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. „ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი საწარმო გაიხსნას, რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი ინვესტიცია განხორციელდეს და უცხოური ინვესტიციები შემოვიდეს, გაჩნდეს რეალური სამუშაო ადგილები და წარმოება განვითარდეს. ჩვენ ამის მაგალითები უკვე გვაქვს რუსთავში. არც ისე დიდი ხნის წინ რუსთავში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საწარმო – „პანექსი“. ეს 6-მილიონიანი პროექტი სახელმწიფოს ხელშეწყობით ადგილობრივმა კომპანიამ განახორციელა. საწარმოს პროდუქცია ინდუსტრიული შენობების მშენებლობაში გამოიყენება და საქართველოს გარდა უცხოეთშიც იყიდება. მნიშვნელოვანია, რომ ქართული პროდუქცია იმპორტს მნიშვნელოვნად ჩაანაცვლებს. რუსთავში უკვე მუშაობს ელექტრონული ნაკეთობების საწარმო, რომელიც აწარმოებს ისეთ ელექტრომოწყობილობას, როგორიცაა სატელევიზიო მიმღები, მოდემი, სმარტფონი, პლანშეტი, ნეტბუქი და ტელევიზორი, აგრეთვე უახლეს მაღალტექნოლოგიურ მოწყობილობებს. დღეს დილით მთავრობის სხდომამ დაამტკიცა პროექტი, რომლის მიხედვითაც საწარმო შედის პარტნიორობა-

ში რუსთავის აზოტთან და მოხდება 50 მილიონი დოლარის დამატებითი ინვესტიცია რუსთავის აზოტის საწარმოში. ეს არის რუსთავში ხუთასამდე დამატებითი სამუშაო ადგილი. ეს კი თავისთავად არის ხუთას დამატებით ოჯახში მიტანილი კეთილდღეობა. დამეთანხმებით, რომ ეს არის ძალიან დიდი საქმე. თუნდაც ამ სამი საწარმოს მაგალითით სრულიად ნათელია, რომ ჩვენ რეალურად ვუწყობთ ხელს თავისუფალი ბიზნესგარემოს შექმნას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას. მე მჯერა, რომ რუსთავში გამოშვებული პროდუქცია გახდება კონკურენტუნარიანი და თავის ადგილს დაიმკვიდრებს არა მხოლოდ ჩვენს ბაზარზე, არამედ მსოფლიო ბაზარზეც. ეს მხოლოდ დასაწყისია და, დარწმუნებული ვარ, რუსთავი ისევ დაიბრუნებს თავის ტრადიციულ ფუნქციას“, – განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ. გიორგი კვირიკაშვილმა სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და მოსახლეობას მთავრობის მიერ ამ დარგის ხელშეწყობის მიზნით გადადგმულ ნაბიჯებზე მიაწოდა ინფორმაცია. „იცით, რომ ჩვენმა მთავრობამ არაერთი პროექტი წამოიწყო, რომლებმაც სოფელს, ხალხს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ჩვენ ხვნის პროცესში დავეხმარეთ მათ, ვინც წლების განმავლობაში მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო მიწებს ვერ ამუშავებდა. დღეს პრაქტიკულად მიტოვებულ, ყამირად ქცეულ მიწებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება დაუბრუნდა. მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა ჩვენს ხალხს, რომ გავაგრძელებთ ყველა პროგრამას – გავაგრძელებთ ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებს, სოფლის მეურნეობისა და მეწარმეობის ხელშემწყობ პროექტებს, ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ყველა დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, სანამ არ დავინახავთ, რომ ეს აისახა თითოეულ ადამიანზე, თითოეული ოჯახის ცხოვრებაზე, მის კეთილდღეობაზე“, - განაცხადა მთავრობის მეთაურმა. გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ქვემო ქართლის მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობას, ქვეყნის ერთგულებისთვის, ძმობისთვის და თავდადებული შრომისთვის მადლობა გადაუხადა.

„ჩვენ თქვენს ნდობას გავამართლებთ და თქვენი გვერდში დგომით, ერთად გავიმარჯვებთ! „ქართული ოცნება“ კვლავ თქვენს სამსახურში იქნება!“, - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის თქმით, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს, დიდი გამარჯვებები სჭირდება.

„მე დარწმუნებული ვარ თქვენი თანადგომით, ერის კონსოლიდაციით, ერთ მუშტად შეკვრით, ჩვენი ქვეყნის და სამშობლოს გამარჯვებისთვის, ყველა ჩვენთაგანი იღვაწებს და მაქსიმალურად დაიხარჯება იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ოჯახს მოვუტანოთ კეთილდღეობა. მე დარწმუნებული ვარ „ქართული ოცნება“ თქვენთან ერთად აუცილებლად გაიმარჯვებს. ამით ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო, ჩვენი საქართველო გაიმარჯვებს“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრის გამოსვლამდე რუსთავში შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა, პარტიის ცენტრალური შტაბის უფროსმა **კახა კალაძემ** მიმართა.

კახა კალაძის განცხადებით, ქვემო ქართლია სწორედ ის რეგიონი, სადაც ერთიანობა ყველაზე მეტად იგრძნობა. „მახარებს თქვენთან შეხვედრა. იმედით მავსებს ჩვენი ერთად ყოფნა, რადგან ერთად დიდი ძალა ვართ. ჩვენ ერთმანეთი ბრძოლაში უკვე გამოვცადეთ – 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით, გავათავისუფლეთ ქვეყანა, ერთად აღვიდგინეთ ღირსება, ერთად დავიწყეთ ახალი საქართველოს შენება. 2012-ში ჩვენ ერთად დავანახეთ მსოფლიოს, რომ საქართველო თავისუფალი ადამიანების ქვეყანაა, თავისუფალი ადამიანი კი შემდგარი ქვეყნის უმთავრესი საფუძველია! მაშინ თითოეული ჩვენგანი საქართველოს დაუმარცხებელ ჯარისკაცებად ვიქეცით და ქვეყანა უფსკრულში გადაჩეხვას გადავარჩინეთ! „ქართული ოცნებაა“ დღეს ერთადერთი სამართლიანი პოლიტიკური ძალა, რომელიც ხალხის კეთილდღეობაზე რეალურად ზრუნავს. ჩვენ ვართ მმართველი პოლიტიკური ძალა ადამიანური სახით, რადგან „ქართული ოცნების“ მთავარი ღირებულება ადამიანი და მისი ღირსება, კანონმორჩილება და წესრიგი, ქმედითობა და შედეგზე სწორი ორიენტაციაა“, - აღნიშნა კახა კალაძემ. ®

საკონსტიტუციო რევოლუცია ჩავარდა!

დაეკისრებათ თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა რევოლუციის ინიციატორებს?

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გია ბოლსკიმ ნათლად და არგუმენტირებულად განმარტა, თუ რატომ შეიძლება შეფასდეს საკონსტიტუციო რევოლუციად ის მოვლენები, რაც ბოლო დროს საკონსტიტუციო სასამართლოში ხდება და რომელთა პროვოცირებაშიც, როგორც ვოლსკი, ასევე „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებიც, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს და საკონსტიტუციო

სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს ადანაშაულებენ.

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრმა სოფო კილაძემ ჟურნალისტებს გააცნო სტატისტიკა, რომელიც, პოლიტიკური საბჭოს შეფასებით, მიუთითებს იმაზე, რომ რეალურად იყო ზეწოლა საკონსტიტუციო სასამართლოზე უმცირესობის მხრიდან. „კერძოდ, თუ გადავხედავთ წინა შემთხვევებს, ძალიან ბევრი შემთხვევა, 2013-2014 წლებში შეტანილი სარჩელები დღესაც განუხილველია. ათეულობით თვე სჭირდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტული სარჩელების განხილვისთვის. ძალიან ბევრი დღესაც დაუსრულებელია, ძალიან ბევრი წარმოებაშიც არ არის ჯერ კიდევ მიღებული, მაშინ, როდესაც გიგი უგულავას ორ საქმეზე სამ თვემდე ვადა დასჭირდა დაახლოებით სასამართლოს იმისათვის, რათა მიეღო გადაწყვეტილება. სხვა შემთხვევებში, სულ მცირე ექვსი თვე მაინც იყო საჭირო. ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან გარკვეულ პოლიტიკურ ზეწოლას ჰქონდა ადგილი“.

კიდევ უფრო შემაშფოთებელია განცხადება, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ტურავა აკეთებს. მისი თქმით, ე. წ. კაბელებისა და „რუსთავი-2“-ის საქმეებთან დაკავშირებული სარჩელები შეცვლილია: „პარასკევს შემოსული სარჩელი დაგერისტრირებული ნომრით, შაბათ-კვირას არის სხვა სარჩელით შეცვლილი და ორშაბათს წარმოებაში მიღებული. ამის შესახებ მოსამართლეებს არ შეიძლება რომ სცოდნოდათ, თუ როგორ, რატომ, ვის მიერ და რა მიზნით მოხდა ამ სარჩელების გამოცვლა. ორი სარჩელია აქ დღის წესრიგში და ორივე სარჩელთან დაკავშირებით არის ეჭვები. ვინ შეცვალა, მე არ ვიცი, ამის გამო ვიკრიბებით, რომ ეს დავადგინოთ და გადავწყვიტოთ“, — განაცხადა ტურავამ და დაადასტურა, რომ ორ სარჩელში ე. წ. კაბელებისა და „რუსთავი-2“-ის საქმეებთან დაკავშირებულ სარჩელებს გულისხმობდა.

როგორც თვით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ამბობენ, მათზე სახელისუფლო წრეებიდან რაიმე სახის ზეწოლა არ ყოფილა ანუ გიორგი პაპუაშვილის განცხადება, თითქოს მოსამართლეებზე ზეწოლა ხორციელდებოდა, სიცრუეა, სიცრუე, რომელსაც სასამართლო სისტემაში შეიძლებოდა კოლაფსური მდგომარეობა გამოეწვია.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაწყებულია.

საინტერესოა, რა შეიძლება მოხდეს, თუ დამტკიცდა, რომ გიორგი პაპუაშვილი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, მიზანმიმართულად ცრუობდა და რომელიღაც პოლიტიკური ძალის დაკვეთით საკონსტიტუციო რევოლუციას ამზადებდა, ამ სამზადისში კი, სავარაუდოდ, მისი მოკავშირე და თანამზრახველი ქვეყნის პრეზიდენტი იყო?

ეს ყველაფერი ხომ ძალიან ჰგავს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, თუ ჩვენთან სახელმწიფო გადატრიალება ისეთი უბრალო საქმეა, რომ ადვილად შეიძლება ჩაიფარცხოს და მიფუჩეჩდეს?

გიორგი გამეზარდაშვილი

ვაი ჩვენს პატრონს...

ვაი ჩვენს პატრონს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯერ პოლიტიკურ განცხადებებს გააკეთებს, მერე ხელისუფლების რომელიღაც წარმომადგენლების მხრიდან რომელიღაც მოსამართლეებზე, რომელიღაც საქმეებთან დაკავშირებით, რაღაც მიზნებით, რაღაცა ფორმის ზეწოლის შესახებ ჭორაობას დაიწყებს, მერე ამ ინფორმაციის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარს იტყვის, მერე პრეტენზიულად განაცხადებს, ჩემი ჩვენების გარეშე რატომ არ იწყებს პროკურატურა გამოძიებასო, მერე, როცა გამოძიება დაიწყება და შესაძლო დაზარალებულებს გამოიძახებენ დასაკითხად სტანდარტული უწყების გაგზავნით (სადაც განმარტებულია გამოცხადებაზე უარის თქმის შედეგები) და ამაზე აღშფოთდება, „როგორ უბედავენ ამას ჩემს მოსამართლეებსო“, ძალაუნებურად დაინტერესდები, ვინ არის ეს კაცი, საიდან მოვიდა, სად ისწავლა და რა ისწავლა ისეთი, რომ ელემენტალურ სამართლებრივ საკითხებში ვერ ერკვევა და ოროსანი მოსწავლესავით ერთმანეთზე მეტ სისულელეებს რატომ ლაპარაკობსო?

შევედით საკონსტიტუციო სასამართლოს საიტზე და გავიგეთ, რომ ჩვენი ვარსკვლავბიჭუნა გიორგი პაპუაშვილი დაბადებულა 1972 წლის 26 დეკემბერს და უკვე 33 წლის ასაკში გამხდარა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. ვიფიქრეთ, ალბათ ამ ვუნდრკინდმა ბავშვობიდანვე დაიპყრო იურისპრუდენციის მწვერვალებიო და ჩავყევით მის ბიოგრაფიას. აღმოჩნდა, რომ გიორგი პაპუაშვილს 1995 წელს დაუმთავრებია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, 1996-1999 წლებში უმუშავია საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის აპარატში უფროს სპეციალისტად, წამყვან სპეციალისტად, აპარატის უფროსად (ანუ მოქალაქეთა კავშირის კადრი ყოფილა), 1996-1997 წლებში, ერთი წელი უსწავლია ქ. ბუდაპეშტი მდებარე სოროსის უნივერსიტეტში (ანუ, თან ბუდაპეშტში ცხოვრობდა და სწავლობდა და თან საქართველოს პარლამენტში მუშაობდა?!), კიდევ ერთი წელი (1999-2000 წწ) უსწავლია ამერიკის უნივერსიტეტის (ქ. ვაშინგტონი) მაგისტრატურაში, იქიდან პირდაპირ საქართველოს სოროსის ფონდის კანონის უზენაესობის პროგრამის დირექტორად დაბრუნებულა (2000-2004 წწ). ამ დროს ე. წ. ვარდების რევოლუციამაც მოუსწრო და ეს ჩვენი ვუნდერკინდი უცბად მოგვევლინა ჯერ საქართველოს იუსტიციის მინისტრად (2004-2005 წწ), ხოლო 2005 წლის თებერვლიდან - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად. 2006 წლიდან კი უკვე საკონსტიტუცო სასამართლოს წევრი და მისი თავმჯდომარეა. მხოლოდ ბოლო 2 წელია გაახსენდა ვუნდერკინდ ვარსკვლავბიჭუნას, რომ ბევრი კანონი კონსტიტუციასთან შეუსაბამოა, ხოლო ყველაზე კომიკური ის არის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ბოლო წლებში ანტიკონსტიტუციურად ცნობილი თითქმის ყველა კანონი სწორედ სააკაშვილის იმ ავადსახსენებლი 9-წლიანი მმართველობის დროს არის მიღებული, ხოლო ზოგიერთი მათგანი თავის დროზე გიორგი პაპუაშვილის იუსტიციის მინისტრობის დროს, მისივე ხელმძღვანელობით დაიწერა და დღეს იგივე გიორგი პაპუაშვილი აცხადებს მათ ანტიკონსტიტუციურად.

მართალი გითხრათ, გიორგი პაპუაშვილის ბიოგრაფიის გაცნობის შემდეგ კითხვები უფრო მეტი დაგვრჩა, მაგრამ ზოგიერთ კითხვაზე პასუხებიც მივიღეთ. მაგალითად, პასუხი მივიღეთ კითხვაზე, თუ როგორ მოხდა „ვუნდერკინდი“ ბიჭუნას არათუ ასვლა, არამედ აფრენა კარიერული იერარქიის უმაღლეს საფეხურზე, გავიგეთ, რომ მოქალაქეთა კავშირის ბუდიდან აფრენილი და ჯერ სოროსის სკოლაგავლილი, შემდეგ თავისი ბელადების მსგავსად ნაციონალური მოძრაობის ნავში გადამხტარ ახალგაზრდა იურისტს ცოტა გაძვრომ-გამოძვრომითაც გამოუჩენია თავი და მალევე მიუპყრია „რევოლუციონერი“ ბელადების და მათი კადრების სამჭედლოს (სოროსის ფონდი, თავისუფლების ინსტიტუტი და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) ყურადღება და ასე მიუღწევია თავბრუდამხვევი კარიერული წარმატებისათვის. რასაკვირველია, „რევოლუციონერებისათვის“ ხელიდან გასაშვები არ იქნებოდა ისეთი ერთგული კადრი, რომელიც ვერც შევარდნაძე-მოქალაქეთა კავშირის მმართველობის დროს ამჩნევდა ადამიანის უფლებების დარღვევებს და მოსამართლეებზე ზეწოლებს, არც იუსტიციის მინისტრობის დროს ესმოდა ჯოჯოხეთად გადაქცეული ციხეებიდან პატიმართა განწირული ბღავილი, რადგან მისი თვალთახედვით ამ დროს თურმე ყველაფერი რიგზე იყო და მოსამართლეებზე მუქარასაც ვერავინ ბედავდა, უფრო მეტიც, სწორედ მისი იუსტიციის მინისტრობის დროს, მისივე ხელმძღვანელობით იქმნებოდა ის დრაკონული საკანონმდებლო ბაზა, რომლებიც უუფლებოდ ტოვებდა მოსამართლეებსაც, პატიმრებსაც, უბრალო მოქალაქეებსაც და მხოლოდ სახელმწიფოს სახელით მოლაპარაკე ბიუროკრატიას და ჯალათ ძალოვან ჩინოვნიკებს აძლევდა ყველაფრის უფლებას.

მაგრამ ჯანდაბას ეს ყველაფერი, ჩვენ უკვე შევეჩვიეთ იმას, რომ საქართველოში ყველაზე დიდი ჯალათები და ანტიდემოკრატები ყველაზე მეტს ლაპარაკობენ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე, მაგრამ ის მართლაც კურიოზი და ქვეყნის უბედურებაა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავბრუდახვეული თავმჯდომარე თავისი „მოღვაწეობის“ მიწურულს თავს მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით და იურისპრუდენციის ელემენტალური ნორმების უცოდინარობითა თუ იგნორირებით გამოიჩენს და სერიოზულად ჰგონია, რომ კანონის წინაშე სულაც არ არიან თანასწორნი ის, მისი პოლიტიკური კლანი და რიგითი მოქალაქეები. მისი ერთ-ერთი თანამებრძოლი, საქართველოს თავგზააბნეული პრეზიდენტიც ხომ რომაელ კეისრებზე უფრო შორს მიდის და ხმამაღლა აცხადებს, რომ არა მარტო კეისრის ცოლი, არამედ პრეზიდენტის ცოლის შვილი და ამ უკანასკნელის თანამეცხედრეც ყოველგვარ ეჭვზე მაღლა დგანან და თუნდაც 5-ჯერ იყვნენ ნასამართლევები, მათში ეჭვის შეტანა მაინც უდიდესი მიუტევებელი ცოდვაა.

ვაი ჩვენს პატრონს...

ნანა კაკაბაძე

P. S. გიორგი პაპუაშვილმა ჭიქაში ატეხილი ქარიშხლის შემდეგ განაცხადა: „ზეწოლა შეიძლება ყველაზე არ იყოს. ზოგიერთს შეიძლება არც უნდა თქვას, რომ იყო. ვინც გაბედავს და იტყვის, მისი საქმეა. ვინც არ გაბედავს - ესეც მისი საქმეა. შეიძლება ზოგიერთზე არც იყო. მტკიცებულებები პროკურატურამ უნდა შეაგროვოს. ინფორმაციას კონკრეტული მოსამართლეები მიაწვდიან“. აქედან შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: თუ არც ერთი მოსამართლე არ დაადასტურებს მათზე ზეწოლის ფაქტს, პაპუაშვილის მტკიცებით, მაინც პროკურატურა გამოვა დამნაშავე, რადგან ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელი იქნება, რომ მოსამართლეებმა "ვერ გაბედეს თქმა“, თორემ მათზე ზეწოლა ნამდვილად იყო და პროკურატურას ეს მათი დადასტურების გარეშეც უნდა გამოეძიებინაო.

ღმერთო, დაიფარე საქართველო ასეთი „კვალიფიციური მოსამართლეებისგან“...

თინა ხიდაშელი – ტაქსის მძღოლების ახალი ვარსკვლავი

რამდენიმე დღის წინათ, თინა ხიდაშელმა ფეისბუქზე სტატუსი დაგვიდო: 4 დღეა ტაქსით დავდივარო... ამაში უცნაური არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი დეტალი: როგორც ქალბატონი თინა გვაუწყებს ბედნიერი სახით, ყველა ტაქსისტი მისი ფანი აღმოჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ დღეში შვიდი-რვა ტაქსის გამოცვლა უწევს, არც ერთი ტაქსისტი თურმე თანხას არ ართმევს...

უძალიანდება ჩვენი მინისტრი ტაქსისტებს, ვართ ასე მე და ჩემი ტაქსის მძღოლები ჩხუბსა და პატივისცემის ურთიერთმტკიცებაშიო, უძალიანდება, მაგრამ ვერ ერევა... მერე რა, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრია, მაინც ქალია და მამაკაცთან ბრძოლაში ასე ქალურად, ნაზად და ბედნიერად მარცხდება... მარცხდება და საფულეში აბრუნებს ტაქსში გადასახდელ თანხას...

ვიცოდი, რომ ჩვენს ქალაქში დიპლომიანი, განათლებული და ზრდილი ტაქსისტები დადიოდნენ, მაგრამ ასეთ თანადგომასაც არ ველოდი... ის იყო, გულისასაჩუქებლად გავემზადე, რომ კომენტარი დავინახე ერთ-ერთი ფეისბუქ მომხმარებლის: „თინა იტყვილება, როგორ ყოველთვის“... და ეჭვი შემეპარა...

ეჭვი ცუდი რამაა, არ მიყვარს ეჭვებით ცხოვრება, ამიტომ, გადავწყვიტე მეტ-ნაკლებად მაინც დამედგინა, ქალბატონი თინას სიტყვების სისწორე...

ეს რთული სულაც არ გამოდგა... უბრალოდ ვაჩერებდი ტაქსს და ვეკითხებოდი: თინა ხიდაშელმა რომ გაგაჩეროთ, მგზავრობის თანხას გადაახდევინებთ? - ორმაგად - იყო პასუხი...

- აკი, ქალბატონი თინა ამბობს, ტაქსისტებს უფასოდ მივყავარო? - ჩავეძიე ჯიუტად...

- უფასოდ რატომ უნდა წავიყვანო? ფული არ აქვს, თუ გაჭირვებულია?

იგივე ტექსტით და ღიმილით მპასუხობდნენ სხვადასხვა ასაკის ტაქსისტები.

ქალბატონო თინა, რას გადაეკიდეთ ამ საწყალ ტაქსისტებს, რომლებიც დღედაღამე ქუჩაში არიან გამოსულნი, რომ ოჯახში ლუკმა-პური შეიტანონ?

თუ მაინცდამაინც ტაქსისტებთან გსურთ შეხვედრა, მოაწყვეთ ერთი დიდი ყრილობა ტაქსის მძღოლებისთვის და ყველას ერთად გაესაუბრეთ...

საფასურს არ მართმევენო... და დაახლოებითი ოდენობა ხომ იცით საფასურის, ჩამოსვლის დროს დაუტოვეთ სავარძელზე, არ გამოგეკიდებიან, დამიჯერეთ...

თინა ხიდაშელი - ტაქსის მძღოლების ახალი ვარსკვლავი... ცუდად არ ჟღერს წინასაარჩევნოდ... წინასაარჩევნოდ ყველაფერი კარგად ჟღერს, ყველაფერი რაც დაგეხმარებათ... მერე რა, რომ ტანკებთან იღებდით ფოტოებს სულ ცოტა ხნის წინ, თავდაცვის მინისტრის რანგში, არც ტაქსია ცუდი...

ძვირადღირებული სოციოლოგი და NDI-ის კვლევები არ მჭირდებაო, ქალბატონმა თინამ, მე თავად ვარ ჩემი თავის სოციოლოგიო, მე თავად ვხვდები, როგორ მაგარ ქალაქში ვცხოვრობ, ყველაზე გულიან, თბილ და ერთგულ ქალაქშიო...

ჰო, შეიძლება ეს ქალაქი ყველაზე თბილი, ერთგული და გულიანია, მაგრამ ყველასთვის არა, ქალბატონო თინა... არ გვინდა რომანსები და ცრემლად დაღვრა, არ გიხდებათ... საგარეჯოდან შემოგითვალეს დიდი სალამი... იმ დიდი დაპირებების სანაცვლოდ, რომელიც მაშინ გაეცით, როცა დეპუტატობა გსურდათ...

და აი ასე, ყოფილი მინისტრი, რომელსაც აღარ ემსახურება სამსახურის მანქანა, აღარ აქვს საწვავის ტალონები, თავად გახდა სოციოლოგი და დადის ქალაქის ქუჩებში ხალხის აზრის გასაგებად ტაქსით...

ვიცი, ახლა მავანნი გამკიხცხავენ, ქალი ასე ბედნიერი იყო და ხასიათი გაუფუჭეო... პოზიტიურის წინააღმდეგი ხარო... ან ყველაფერში ცუდს ხედავო... ნურას უკაცრავად... მე მიყვარს ჩემი ქალაქი, თავისი უცნაური ტაქსებითაც და გაუნიავებელი, გადაჭედილი საზოგადოებრივი ტრანსპორტებითაც... თქვენს ბედნიერებასაც გავიზიარებდი, ალბათ, ქალბატონო, თინა, ასეთი ყალბი რომ არ იყოთ და ასე ურცხვად რომ არ ცრუობდეთ...

გულიანი, თბილი და ერთგული ქალაქელები კი გითვლიან: მეტროში მეტნი ვართ, ვიდრე ტაქსშიო, ყვითელ ავტობუსებშიც მეტნი ვართ, ვიდრე ტაქსიშიო, ეგ კი არა მარშუტკებშიც კი მეტნი ვსხედვართ, ვიდრე ტაქსიშიო... ამიტომ, დაანებოს ტაქსის მძღოლებს თავი და ან მეტროში ჩამობრძანდეს, ან ავტობუსში ამობრძანდეს, ოღონდ სპეციალური სამგზავრო ბარათი უნდა შეიძინოს ჯერ სალაროში, რომელიც 2 ლარი ღირს და იქონიოს თან ეს ორი ლარი, თორემ აქ ნამდვილად გამოართმევენ თანხას, ჩხუბის, შენი ჭირიმე, მე გეპატიჟების და დავიდარაბის გარეშეო... ასე, შეიძლება ბედნიერი ვერ იყოს, მაგრამ ნერვებსაც დაზოგავს, ტაქსისტებიც მშვიდად იმუშავებენ, და მეტ ადამიანსაც შეხვდებაო...

კარგით, ჯანდაბას, არ გინდათ ეს მეტრო და ავტობუსი და ნუ გინდათ, თქვენი ნებაა... თან მაინც უფასოდ მგზავრობთ ტაქსით და გიჟი ხომ არა ხართ, ოფლის სუნით გაჯერებული ჰაერით ისუნთქოთ, მართლა სოციოლოგიური კვლევისთვის კი არ დადიხართ ტაქსით... მაგრამ, ისე, მრავალფეროვნებისთვის შიგადაშიგ, რომ სხვა სპონსორიც გენახათ, არ იქნებოდა ურიგო... მაგალითად, რომელიმე ხინკლის სახლს გაუარეთ, ტაქსისტებთან ჩხუბით დაღლილმა, იქ ისადილეთ უფასოდ... შეგიძლიათ ტაქსისტიც დაპატიჟოთ, მეტი ეფექტისთვის... მერე მაღაზიაში შეიარეთ, სასურველია სხვადასხვა მაღაზიაში მიხვიდეთ, თორემ, საფასურს თქვენ არ გამოგართმევენ და ცოდოა ერთი მაღაზია, გაკოტრდება, ამიტომ რამდენიმე მაღაზიაზე გადაანაწილეთ ნავაჭრი.. მანამდე კი გაუძელით, ჩემო ტაქსისტებო, ცოტაც მოითმინეთ, აგრილდება, დაზამთრდება... სიცხე აღარ იმოქმედებს ასე მძაფრად ყოფილ მინისტრებზე და იქნებ იმ ყოფილებსაც ეშველოთ და ჩვენც...

მაგრამ, ვაი, ჩვენ... მინისტრებს მაღალი ხელფასები უნდა ჰქონდეთ, რომ არ მოიპარონო... ბოლოს და ბოლოს, საერთაშორისო შეხვედრებზე მაინც ხომ უნდა იარონ შესაფერისი ტანსაცმლითო, დაგვამუნათეს თავის დროზე და გაეზარდათ მინისტრებს ხელფასი (პრინციპში, მეც ვეთანხმებოდი მაგ ამბავს), მაგრამ, ყოფილი მინისტრებიც თუ ჩვენი სარჩენი გახდებოდნენ, არ მეგონა ნამდვილად...

ტელეფონის ნომერი მოგვწერეთ ქალბატონო თინა, ზოგჯერ ლარს ჩაგირიცხავთ...

P.S. რამდენიმე დღის წინ, ლურჯი ფერის (მარკა და ნომერი არ მახსოვს) ტაქსიში დამრჩა ნარინჯისფერი საფულე, რომელშიც მედო ყველა საბუთი, რაც კი გამაჩნდა... მპოვნელს, ვთხოვ, დამიკავშირდეს, ან ქალბატონ თინას გამოატანოს...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

მათ სურთ მთელი დედამიწის მოსახლეობა „ნემსზე შესვან“



მსოფლიო ნარკომაფია და სიონისტური ორგანიზაციები ნარკოტიკული საშუალებებით მიზანმიმართულად ანადგურებენ ქვეყნებს და ხალხებს

ინტერვიუ პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან.

(გაგრძელება)

ვაგრძელებთ ინტერვიუს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან.

- 60-იანი წლების დასაწყისში, ევროპას უკვე გადატანილი ჰქონდა ომის შემდგომი კრიზისი და ფეხზე იყო წამომდგარი, უფრო უკეთესი მდგომარეობა იყო ამერიკაში. ამ ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროში მომწიფდა აზრი, რომ „საზიზღარი კაპიტალისტებისთვის“ მიეწოდებინათ „უწყინარი“ ჰაშიში და სანაცვლოდ მყარი ვალუტა მიეღოთ. ეს ნარკოტიკი ავღანეთში კაპიკები ღირდა, არც მისი ტრანსპორტირება დაჯდებოდა ძვირი, თანაც კლასობრივი ბრძოლის დროს, ყველა მეთოდი დასაშვებად ითვლებოდა. ბუნებრივია, ამ აშკარად უკანონო მოქმედებაში სამართალდამცავები და საერთოდ, სახელმწიფო უწყებები ღიად ვერ ჩაერთვებოდნენ, მათ მხოლოდ უსაფრთხო გადაზიდვის გარანტიების მიცემა შეეძლოთ. ამიტომ დაიწყეს ქვეყანაში თითქმის განადგურებული ე.წ. კანონიერი ქურდის ორდენის წამოტივტივება, რომ მათ ეთავათ ნარკობიზნესის ორგანიზება და დაცვა. ევროპის ქვეყნებში ჰაშიშის შეტანის ორგანიზება ძალიან ადვილი იყო, რაც შეეხება აშშ-ს ის შორს იყო, მაგრამ იმ დროს უკვე არსებობდა „თავისუფლების კუნძული“ კუბა, რომლის გამოც კინაღამ მესამე მსოფლიო ომი დაიწყო. სწორედ კუბის სპეცსამსახურების მიერ ჩამოყალიბებულმა ჯგუფებმა დაიწყეს აშშ-ში არალეგალურად ნარკოტიკების შეტანა. პირველად, 1968 წელს იქნა ამოღებული აშშ-ის სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ 250 კგ ჰაშიში, ხოლო 1972 წელს უკვე 15 ტონა. ავღანეთის მოსახლეობამ რომ შეხედა კანაფის მოყვანა საკმაოდ სარფიანი საქმე იყო, მისი მასიური წარმოება დაიწყო, „დაიხვეწა“ ჰაშიშიც, მისგან უფრო გაწმენდილი „ჰაშიშის თაფლი“ გამოიყვანეს. ზახირ-შაჰის ხელისუფლებამ რომ ნახა მოსახლეობა კმაყოფილი იყო, კანაფის ხელს არ უშლიდა, პირიქით, გლეხებს ახალისებდნენ კიდეც. ავღანეთში ოპიუმის ყაყაჩო და კანაფი 60-იანი წლების მეორე ნახევრამდე არ წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან კულტურას. მათ ძირითადად სამეურნეო საჭიროებისთვის იყენებდნენ, კერძოდ, საპონს ხარშავდნენ, საღებავებს ამზადებდნენ, პირუტყვს აჭმევდნენ, დაახლოებით 400 ტონა კი, ირანის გავლით თურქეთში გაჰქონდათ, თუმცა ირანშიც რჩებოდა გარკვეული ნაწილი.

70-იან წლებში აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ზახირ-შაჰს სთხოვეს, ჰაშიშის წარმოება შეეჩერებინათ, რადგან უკვე დასაშვებ ზღვარს სცილდებოდა ეს ყველაფერი, თუმცა ეს საკუთარ მოსახლეობაზე ზრუნვის გამო არ მომხდარა. მათ ის ფულადი მასა აინტერესებდათ, რომელიც ქვეყნიდან უკანონოდ გაედინებოდა. ზახირ-შაჰმა გაითვალისწინა ამერიკის ხელმძღვანელობის თხოვნა და 1973 წლის გაზაფხულზე კანაფის დათესვაზე აკრძალვები დააწესა, მრავალი ნათესი გაანადგურეს კიდეც. იმ პერიოდში ავღანეთის მოსახლეობის უმრავლესობისთვის, კანაფის წარმოება სტაბილური შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო, ამიტომ მათმა უმეტესობამ უკმაყოფილება გამოთქვა. ამით ისარგებლა მონარქის ბიძაშვილმა მუჰამედ დაუდმა და იმავე წელს, როდესაც ზახირ-შაჰი იტალიაში იმყოფებოდა სამკურნალოდ, უცხოეთის წაქეზებით გადატრიალება მოუწყო. მან ტყვედ აიყვანა მონარქის მეუღლე და ხუთი შვილი, რის შემდეგაც ზახირ-შაჰს ულტიმატუმი წაუყენა, რომ ოჯახის წევრების სიცოცხლე თუ სურდა, შაჰობაზე უარი უნდა ეთქვა. ზახირ-შაჰი დათანხმა და ოჯახთან ერთად იტალიაში დარჩა საცხოვრებლად. 90-იან წლებში მას ავღანეთში ჩასვლის და ცხოვრების უფლება მისცეს, თავისი სასახლეც დაუბრუნეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. მუჰამედ-დაუდის მმართველობის დროს კანაფისა და ოპიუმის ყაყაჩოს თესვა-წარმოება გასაიდუმლოებულად ხდებოდა, თუმცა საბჭოთა კავშირი წარმოების მასშტაბების გაზრდას ითხოვდა, რომ რაც შეიძლე-

ბა მეტი ვალუტა მიეღო, რადგან მისი ეკონომიკა უკან-უკან მიდიოდა. მუჰამედ დაუდი ამერიკის შიშით ამას ვერ ახერხებდა, ამიტომ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ, ნურ მუჰამედ ტერაკის ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით, მუჰამედ დაუდი გადააყენა და ძალაუფლება თავად აიღო ხელში. 1979 წლის სექტემბერში, ჰაფიზულა ამინმა ამერიკის ხელშეწყობით, ნურ მუჰამედ ტერაკი იძულებით გადააყენა ხელისუფლების სათავიდან და ყაყაჩოს პლანტაციების განადგურება დაიწყო, არადა მეორე მოსავლის აღების დრო ახლოვდებოდა. ბუნებრივია, „უძრაობის ხანაში“ მყოფი საბჭოთა კავშირი, ამ მძიმე დარტყმას ვერ აიტანდა, მართლაც, იმავე წელს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები „ინტერნაციონალური ვალის მოხდის“ მოტივით, ავღანეთში შეიჭრა. ყველა კარგად ხედავდა, რომ იქ არავითარი ინტერნაციონალური ვალის ფაქტორი არ არსებობდა, იყო მხოლოდ ოპიუმის წარმოების და შემდგომი გაკონტროლების წყურვილი. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ, ავღანეთში ფართომასშტაბიან სამხედრო შეჭრამდე, „კაგებეს“ სპეცდანაყოფ „ვიმპელს“ დაახოცვინა ჰაფიზულა ამინი და მისი ორასკაციანი დაცვა, რის შემდეგაც ავღანეთის პირველ კაცად კრემლის მარიონეტი ბაბრაქ ქარმალი „დანიშნა“. 1986 წელს, კრემლმა ქარმალი დოქტორი ნაჯიბულათი ჩაანაცვლა, რომელიც მანამდე ავღანეთის უშიშროების სამსახურს ხელმძღვანელობდა, ხოლო „გადატვირთული“ ქარმალი, „სამკურნალოდ“ მოსკოვში გაამწესეს. საბჭოთა ჯარებმა, ავღანეთი 1989 წელსღა დატოვეს.

- საბჭოურ ნარკომაფიას სამხედრო გენერალიტეტი „კურირებდა“?

- ავღანურ ნარკობიზნესს საბჭოთა კავშირის მხრიდან, უშუალოდ უზბეკეთის ცეკას პირველი მდივანი შარაფ რაშიდოვი (1917-83 წწ) ხელმძღვანელობდა, რომელიც დაჯილდოებული იყო ათი ლენინის ორდენით, ორჯერ მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ამას გარდა უამრავი ორდენისა და მედლის კავალერიც გახლდათ. უზბეკეთში ასი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, ამ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქცია ბამბა იყო. დღემდე გაურკვეველია, რა გახდა 1983 წლის 31 ოქტომბერს რაშიდოვის მოულოდნელი გარდაცვალების მიზეზი, თვითმკვლელობა იყო ეს, თუ მკვლელობა. ამ ადამიანს სრული მონოპოლია ჰქონდა ავღანეთში ოპიუმის ყაყაჩოსა და კანაფის მოყვანა-წარმოებაზე, იგი ხელმძღვანელობდა შუა აზიის მოკავშირე რესპუბლიკებსაც, სადაც ასევე ყვაოდა ნარკოტიკების წარმოება, რაც შეეხება ოფიციალურ მხარეს, „წარმატებით“ წყვეტდა ბამბის მოსავლის არარსებული გეგმების შესრულებას. რაშიდოვმა მოსკოვში ერთ-ერთი გამოსვლისას, ბამბის ჩასაბარებელი ფასის შემცირებაც კი მოითხოვა, ეს მაშინ, როცა მისი წარგზავნილი ემისრები, რუსეთში უამრავ ფულს ხარჯავდნენ, ბამბის ვითომდა გეგმიური ჩაბარების გამო. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, საიდან ჰქონდა რაშიდოვს ამხელა ფინანსები, ეს რასაკვირველია, ნარკოტიკების რეალიზაციიდან „მოტეხილი“ ფული იყო. მეორე მოკავშირე რესპუბლიკა, რომელსაც „სოციალისტური მშენებლობის“

14 გვ.

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი“ #15)

ეიეს შესახებ სხვადასხვა ვერსიები ვრცელდება, მათ შორის ისიც, რომ თუთანქამონი მან მოკლა, თუმცა, ჩვეულებრივ, მოიხსენიება როგორც მე-18 დინასტიის ფარაონი. ვერსიები, ვარაუდები და სავარაუდო სიმართლე ისეა არეული ერთმანეთში, საიდუმლოება უფრო იმალება. სხვათაშორის, ითქვა ისიც, რომ ეიემ იქორწინა თუთანქამონის ქვრივზე, ანაქსუნამუნზე. ამ დროს ეიე 70 წლის იქნებოდა, თუ მეტის არა. ხეთური წყაროების მიხედვით, ანაქსუნამუნმა სევდიანი თხოვნის წერილი მისწერა ხეთების მეფე სუფილულიუმა I-ს, მისი ვაჟი მიეცა ქმრად და ფარაონი გამხდარიყო. ორჯოფობის შემდეგ მეფემ მართლაც გააგზავნა თავისი ვაჟი ზანანზა ეგვიპტეში, მაგრამ გზაში, სავარაუდოდ, ეგვიპტელებმა მოკლეს. ამრიგად, ანაქსუნამუნს ეიეს ცოლობამ მოუწია. ამ გადაწყვეტილების შესახებაც არის ვერსია, რომ ეიემ ამით, პირიქით, იხნა ახალგაზრდა ანაქსუნამუნი რომ ჰარემში არ დაესრულებინა სიცოცხლე. მიუხედავად იმისა, რომ ეიეს სარკოფაგი ნაპოვნია, მისი მუმიის ადგილმდებარეობა უცნობია. ერთი ვერსიით, მისი ცხედარი ჰორემჰებმა (ქალიშვილის, მუთნოდჯმეთის ქმარი) გაანადგურა, რათა ეიეს კვლავ არ მიეღო სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. ასე რომ, ეიეს მუმია კიდევ ერთი საიდულოებათაგანია ეგვიპტის ფარაონთა საიდუმლოებებში. (ფილმი „მუმია“ არეულად, მაგრამ ერთგვარად თითქოს უკავშირდება ამ ისტორიას).

თუთანქამონის სახელი უთუოდ უკავშირდება მთვარის (მეგრულად „თუთა“) სახელს, „ამონი“ კი მზის ღმერთია – ფარაონი მთვარე-მზე...

თუთანქამონს დედის ბიძად ერგებოდა „პრემიერი“ აიე (ეიე, აია), რომელმაც ახალგაზრდა ფარაონის დაკრძალვას უხელმძღვანელა და მომდევნო ათი წელი მშვიდობიანად მართავდა ეგვიპტეს.

ფარაონ აიეს ძმის, მეფე რატის ქალიშვილის, თათუ-ნეფერტიტის უმცროსი ასული, მენიათენა, საქართველოს დედოფალი, ქადიშმან მეფის მეუღლე იყო და ცხოვრობდა თანამედროვე სამხრეთ ერაყში.

მირიან ქართველი აღნიშნავს: „ეგვიპტის იმპერია ქართველი შუმერების შექმნილია და ფარაონები კლეოპატრამდე, ყველანი ქართველები იყვნენ, რომელთა ხელშეწყობითა და პრაქტიკული დახმარებით ქართველმა ქურუმებმა სწავლა-განათლება მთელ მსოფლიოში გაიტანეს...“

ექნატონი (ეხნატონი), მისი მამა – ამენჰოტეპი, ამენჰოტეპის შვილი, ეხნატონის მეუღლე თათუ-ნეფერტიტი, მათი შვილი თუთანქამონი, თათუ-ნეფერტიტის ბიძა აიე, რამზეს I რამზეს II რამზეს III და მათი მემკვიდრეები თეთრკანიანები და კოლხები (ქართველები) იყვნენ..

შვეიცარიელი მეცნიერის (რომან შოლცი) აღმოჩენასთან დაკავშირებით რუსი მეცნიერები წერდნენ: „თუთანჰამონი კავკასიელი ეროვნების პირისპირ აღმოჩნდა ე.ი სწორად დამტკიცდა – ადამიანები წარმოიშვნენ საქართველოდან.“ ცხადია, რუს მეცნიერებს ასეთი დასკვნის გამოტანა მხოლოდ სერიოზული მტკიცებულებების საფუძველზე შეუძლიათ.“

ბატონმა კლიმენტიმ მიჩვენა სწორედ შოლცის გამოგზავნილი წერილის ასლი ბატონ მერაბ რატიშვილისადმი, სადაც ის წერს: თუ პროფესორ შელიას კვლევა მივა მეფე რატის ხაზამდე, ცხადია, ჩვენთვის საინტერესო იქნება ამ ხაზის ცოდნა. თუ გაქვთ მასთან კავშირი და ასევე, თუ ამ ტესტების ჩატარებაში დახმარებას საჭიროებს, ჩვენ, ალბათ, შევძლებთ მის დახმარებასო. ბატონ კლიმენტის 850-გვერდიანი წიგნის (მასში 100-ზე მეტი დიაგრამა, ცხრილი, რუკა და ფოტოსურათი იქნებოდა) გამოცემის საშუალება არ ჰქონდა, უცხოელისგან კი დახმარებას ვერ მივიღებ, სამარცხვინოდ მიმაჩნიაო, – თვალწყლიანი გამენდო. საქართველოში კი, ყური არავინ შეიბერტყა...



ПИРАМИДЕБИС ЦНОБИЛИ АДГИЛ-МДЕБАРЕОБЕБИ

„სტრაბონი (ჩვ.წ Iს) მიუთითებდა, რომ „მეფეთა ველზე“ იკრძალებოდა ყველა ეგვიპტელი მონარქი და რომ ეს სამარხები უდიდეს საიდუმლოს ინახავდა.

1912 წელს ევროპელი მეცნიერი თეოდორ დევისი ამტკიცებდა, რომ მან და მისმა კოლეგებმა „მეფეთა ველის“ ყველა საიდუმლოება ამოხსნეს, მაგრამ ამ განცხადებიდან ათი წლის შემდეგ 1922 წელს ინგლისელმა ჰოვარდ კარტერმა თუთ-ანქ-ამონის სარკოფაგი აღმოაჩინა.

2003-2004 წლებში აშშ-ის ალაბამას უნივერსიტეტის მკვლევარმა სარა პარკერმა ეგვიპტეში ახალი „ობიექტი“ აღმოაჩინა, რომლის შესახებ არავის ჰქონდა ცნობები. სარა პარკერის მტკიცებით, თანამედროვე მეცნიერებამ ეგვიპტის საიდუმლოებების მხოლოდ 1%-ის ამოხსნა შეძლეს, 99%-ის შესახებ კი კაცობრიობამ არაფერი იცის.

ახალი კვლევების საჭიროება განაპირობა სწორედ ნეფერტიტის სამარხში ნაპოვნმა ეტრატმა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა 1995 წელს რამზეს II-ის შვილების მუმიების მიგნება.

კოლხური ცივილიზაციის პერიოდი დიდი ხნით უსწრებს ეგვიპტის დიდი ფარაონების პერიოდს, რომელთა სარკოფაგებში ჩატანებული უდიდესი სიმდიდრე, კერძოდ, ოქროს ძვირფასი ნაკეთობანი, კოლხური წარმომავლობისაა, ნათლად ჩანს კოლხური მეტალურგიური წარმოების პრიორიტეტი. დაისმის კითხვა: – მეტალურგიის წარმოების, ოქროს დამუშავების გამოცდილება ეგვიპტეში კოლხეთიდან ხომ არ გადავიდა? ამ კითხვას პირიქით ვერ დავსვამთ, რადგან მეტალურგიის დამუშავება თავდაპირველად კოლხეთში დაიწყო.

ქაიროში მდებარე გერმანული არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გიუნტერ დრეირი მიუთითებდა, რომ ჩვ. წ. აღ-მდე 2650 (თუ 2609) წელს, ფარაონ ჯოსერის მიერ აგებულ პირველ პირამიდასა და ერთ-ერთი მისი წინამორბედის მიერ აგებულ პირამიდას შორის მსგავსებაა. გამოდის, რომ კოლხ მშენებლებს ეგვიპტეში პირამიდებზე მუშაობა თითქმის 4 ათასი წლის უკან დაუწყიათ და არა უფრო გვიან, თუთანქამონის აკლდამის მშნებლობის პერიოდში. მეცნიერთა აზრით, ამ აკლდამების მსგავსია ფარაონ ხასეხემეის აკლდამა, რომელიც ეგვიპტის სამხრეთით, ძველ სამეფო ნეკროპოლში, აბიდოსში მდებარეობს.

რადგან პირამიდების მშენებელი კოლხები ვახსენეთ, ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ აშენებდნენ ისინი პირამიდებს, მათში იმ ფარაონების განსასვენებელი რომ მოეწყოთ, რომელთა შესახებაც წარმოდგენაც კი ვერ ექნებოდათ? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ დროს როდესაც პირამიდები შენდებოდა მაშინ არც ეგვიპტე იყო ის ეგვიპტე, რაც შემდგომში გახლდათ და მითუმეტეს, არც ფარაონები არსებობდნენ, კითხვაზე პასუხი სხვა მიმართულებას იღებს. ამას ისიც ერთვის, რომ პირამიდები დედამიწის სხვა რეგიონებშიც არის აშენებული და მათი მდებარეობა ზუსტად ემთხვევა ნეოლითის ხანის მიწათმოქმედების ცენტრების მდებარეობას, რომლებიც ჩვენს ერამდე XI ათასწლეულში შეიქმნა სუბტროპიკულ და ტროპიკულ სარტყელებში ერთდროულად.



КРИСТАЛИ ПИРАМИДАЗЕ

მიუხედავად იმისა, რომ პირამიდები გარეგნულად ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მეცნიერების დასკვნით, ყველა პირამიდა (ეგვიპტე იქნება, მექსიკა, ინდონეზია თუ ა.შ) ერთი და იმავე დროის მონაკვეთში და ერთნაირი ტექნოლოგიით არის აგებული.

მკვლევართა ნაწილის აზრით, პირამიდა, იმ პერიოდში ელექტრო-სადგურის ფუნქციას ასრულებდა. ამ დასკვნამდე პირამიდის აგებულების დეტალური შესწავლის შედეგად მივიდნენ. კვლევებმა აჩვენა, რომ ყველა პირამიდა ძლიერი მაგნიტური ველის ზონაში არის აშენებული; შიდა კედლები დოლომიტიანი კირქვით არის ამოყვანილი, ამ სახის კირქვა კი 4-იდან 17 პროცენტამდე მაგნიუმის ოქსიდს შეიცავს და ელექტროდენს კარგად ატარებს, ხოლო პირამიდის გარეთა კედლები სუფთა კირქვით არის აშენებული და დენს საერთოდ არ ატარებს. ამდენად, პირამიდის შიგნითა კედელი სადენის ფუნქციას ასრულებს, ხოლო გარეთა – იზოლაციის.

გარდა ამისა, ყველა პირამიდის თავზე დიდი კრისტალი იყო დამაგრებული, რომელიც მზისა და ვარსკვლავების ენერგიის აკუმულირებას ახდენდა და დედამიწის მაგნიტურ ველთან ერთად სხივურ ენერგიას ელექტრო ენერგიად გარდაქმნიდა, ასე წარმოიქმნებოდა პირამიდის შიგნით ელექტრო-მაგნიტური ტალღები.

მკვლევართა ერთი ჯგუფი დამტკიცებულად მიიჩნევს, რომ პირამიდების მშენებლებს შეეძლოთ მიეღოთ და გამოეყენებინათ ელექტროენერგია. გერმანელმა მეცნიერმა რეინჰარდ ჰაბეკმა ძველეგვიპტური ტაძრების ბარელიეფებზე აღმოაჩინა საკმაოდ რთული ელექტრონული გამანათებლების ნახატები. ღოგორც ინჟინერ-ელექტრიკოსი ვალტერ ჰარნი აღნიშნავს თავის წიგნში („ნათელი ფარაონებისთვის“): „ელექტროტექნიკის ცოდნის გარეშე ამ სურათების შექმნა შეუძლებელი იქნებოდა“...

ერთადერთი პირამიდა, რომელიც სრული სახით არის შემორჩენილი, ჩინეთში მდებარეობს და „თეთრი პირამიდის“ სახელით არის ცნობილი, რომლის შესა-

14 ბ.

მათ სურთ მთელი დედამიწის მოსახლეობა „ნემსზე შესვან"

← 12 გვ.

საქმეში ანალოგიური, „უკიდურესად წარმატებული" მაჩვენებლები ჰქონდა, შევარდნაძის საქართველო იყო. იმავე პერიოდში, სამხრეთ რუსეთშიც, კერძოდ, სტავროპოლის მხარეში, გამოჩნდა სხვა ნარკომაფიოზი მაღალჩინოსანი, რომელსაც მიხეილ გორბაჩოვი ერქვა, თუმცა ამაზე ცოტა მოგვანებით ვისაუბროთ. 1979 წელს, როცა ცეკას პოლიტბიუროს სხდომაზე ავღანეთში შესვლის საკითხს იხილავდნენ, მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოსიგინი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა, მას პოლიტბიუროს სხვა წევრებმაც დაუჭირეს მხარი. გასაოცარი ის არის, რომ ქვეყნის პირველი პირი ლეონის ბრეჟნევიც კოსიგინს უჭერდა მხარს, მაგრამ ავღანეთში გადატრიალება და საბჭოთა ჯარის შეჭრა მაინც განხორციელდა. ამ ყველაფრიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, პოლიტბიუროს ზევით, ვიღაც ან პირთა ჯგუფი იდგა, ფაქტობრივად ვინც იღებდა გადაწყვეტილებებს და ქვეყანას რეალურად ეს ძალა მართავდა. შემდგომ განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ყველა ფიქრობდა, რომ ეს საერთაშორისო სიონისტური მაფია იყო, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს ძალა, თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბთან არსებული მთავარი სადაზვერვო სამმართველო იყო (გრუ), რომელიც პირდაპირ თავდაცვის მინისტრს, ანუ მეომარ გენერლებს ემორჩილებოდა. მათ ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე ყავდათ საკავშირო „კაგებეს" სახით, მაგრამ იური ანდროპოვის ხელისუფლების სათავეში მოსვლის, რომლის უკანაც „კაგებე" იდგა და რაშიდოვის „სცენიდან" ბუნდოვან ვითარებაში გაქრობის შემდეგ აზრი შემეცვალა. ის სამხედრო გენერლები, რომლებიც „გრუს" იყენებდნენ, ხოლო გაუსვრელ გენერლებს ამავე სპეცსამსახურის მეშვეობით, იბირებდნენ (მათაც ხომ ჰქონდათ გარკვეული ინფორმაციები) ან საერთოდ იშორებდნენ, საბოლოოდ „საზიზღარი კაპიტალისტების" წარმომადგენელ სიონისტებს „შეეკვრნენ". მოგეხსენებათ ფულს სუნი არ აქვს, თუმცა იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სიონისტებს გადაწყვეტილი ჰქონდათ საბჭოთა კავშირისთვის აეწყობინებინათ ნარკობიზნესი და მოგვიანებით თვითონ ჩაეგდოთ ხელში. სავარაუდოდ, მათი ეს გეგმა განხორციელდა კიდეც, ავღანეთში აშშ-ისა და ნატოს შეიარაღებული ძალების შესვლის შემდეგ.

მოდით, მოვლენებს ნუ გავასწრებთ და უფრო ამომწურავად ვისაუბროთ, ნარკობიზნესში საბჭოთა კავშირის ჩართულობაზე. ბუნებრივია, უზბეკეთის „შრომის გმირი" ცეკას მდივანი თავად ვერ გაუწევდა უშუალო კონტროლს ავღანეთში ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანა-წარმოებას. ეს თავიდან ადვილი იყო, მაგრამ შემდგომში, როცა ავანტიურა გაშიფრული იქნა დასავლეთის ქვეყნების, აშშ-ისა და ჩინეთის მიერ, შარაფ რაშიდოვს ადგილზე საიმედო დასაყრდენი დაჭირდა. ასეთ პიროვნებად წარმოშობით უზბეკი, ოღონდ ავღანეთში დაბადებულ-გაზრდილი რაშიდ დუსტუმი შეირჩა, რომელიც მარტო „ნედლეულის" მოყვანას კი არა, მის შემდგომ „ექსპორტსაც" გაუწევდა კურირებას. აბდულ-რაშიდ დუსტუმი, მეტსახელად „ავღანელი ჩაპაევი" 1954 წელს პროვინცია ჯაუზჯანში დაიბადა, მამისი უზბეკი იყო, ხოლო დედა თურქმენი. იგი ავღანეთის გაზის მომპოვებელ ორგანიზაციაში მუშაობდა, 1979 წლიდან კი, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ფრაქცია „ფარჩამის" (დროშა) და ადგილობრივი თავდაცვის რაზმის წევრი გახდა. 1980 წელს დუსტუმი სასწავლებლად გაგზავნეს საბჭოთა კავშირში, ოფიციალური წყაროების ცნობით, უკან დაბრუნების შემდეგ, მან პროსაბჭოურ ხელისუფლებაში დაიწყო მუშაობა. 1979-89 წლებში დუსტუმი სამთავრობო ჯარების 53-ე დივიზიის მეთაური იყო, ეს დივიზია, ისევე როგორც საბჭოთა ჯარის ის ნაწილი, რომლებსაც ადგილობრივ მოსახლეობასთან უნდა ემუშავათ, ძირითადად უზბეკებით იყო დაკომპლექტებული, ასე რომ, ნარკოტრანზიტი უზბეკების ხელით ხორციელდებოდა. რაშიდოვს, რომელზეც დამოკიდებული იყვნენ მთელი საბჭოთა მაფიოზები, რასაკვირველია, მჭიდრო კავშირი ჰქონდა საბჭოთა ჯარის უმაღლესი რანგის სამხედროებთან, უპირველეს ყოვლისა „გრუს" ხელმძღვანელობასთან. ავღანეთში კი დუსტუმი წყვეტდა ყველაფერს, რაშიდოვის სახელითა და მასთან შეთანხმებით. იმ პერიოდში, საუკეთესო „ჰეროინს" ტაჯიკები აწარმოებდნენ, ხოლო მისი კონტრაბანდა უზბეკების ხელში იყო. რაშიდ დუსტუმი ძალიან გათავხედებული იყო, რადგან ნარკოტრანზიტის განხორციელებაში საბჭოთა კავშირი არათუ მხარს უჭერდა, არამედ ტექნიკითა და ცოცხალი ძალითაც ეხმარებოდა. იმ წლებში პიანჯშერის ხეობაში მდებარე სალანგის უღელტეხილს ტაჯიკები აკონტროლებდნენ, კერძოდ, ახმად-შაჰ მასუდი. ოპიუმის ავღანეთის სამხრეთიდან ჩრდილოეთში ტრანზიტი, ამ ხეობის გავლით ხდებოდა, ტაჯიკები საგზაო ბაჟს ითხოვდნენ, საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით გათავხედებული დუსტუმი კი, არაფერს უხდიდა. ამის გამო, ადგილობრივმა ტაჯიკებმა ახმად-შაჰ მასუდის მეთაურობით, სალანგის უღელტეხილი ჩაკეტეს. მიუხედავად იმისა, რომ მასუდს იმ პერიოდში 5.000 მებრძოლზე მეტი არასდროს ჰყოლია, ისინი თვლიდნენ, რომ ეს მათი ტერიტორია იყო და შესაბამისად, „ბაჟიც" ეკუთვნოდათ, მით უმეტეს, რომ ოპიუმი ტაჯიკების „ნაწარმი" იყო.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

(გაგრძელება იქნება)

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

← 13 გვ.

ხებ ცოტამ თუ იცის. ყველაზე ნაკლებად შესწავლილი კი არა, საერთოდ მიუწვდომელია ჩინური პირამიდები უცხოელი მეცნიერებისთვის. მათი არსებობის შესახებ მტკიცებულება 1912 წელს გაჩნა, როდესაც ავსტრალიელი ვაჭრები ირწმუნებოდნენ, რომ ჩინეთში არსებობდნენ ისეთი ობიექტები, რომლებიც ძალიან წააგავდნენ ეგვიპტურ პირამიდებს, მაგრამ ზომით გაცილებით უფრო დიდები იყვნენ.

ჩინეთში ყველა პირამიდა განლაგებულია სი-ჩუანის დაბლობზე და მათი სიმაღლე ეგვიპტური პირამიდების სიმაღლეს აღემატება. განსხვავებულია ერთი მათგანი „თეთრი პირამიდა", რომელიც დაახლოებით 300 მეტრი სიმაღლისაა, ხეოფსის პირამიდაზე ორჯერ მეტი, ხოლო ის, რომ ჩინური პირამიდები უფრო ძველია, ვიდრე ეგვიპტის პირამიდები, დამტკიცებული ფაქტია. ადგილმდებარეობა, სადაც „თეთრი პირამიდაა" ჩინეთის ხელისუფლებამ დახურილ ზონად გამოაცხადა არცთუ დიდი ხნის წინათ და ხელისუფლების ბრძანებით, სწრაფად მზარდი ხეები დარგეს. ვარაუდობენ, რომ 20 წლის შემდეგ, როდესაც ხეები გაიზრდებიან, ჩინეთის ხელისუფლება სულაც გამოაცხადებს, რომ არავითარი პირამიდები ჩინეთში არ არის... თუმცა, ცნობილია, რომ 2007 წელს ჩინელმა მეცნიერებმა უახლესი სენსორული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩაატარეს ზოგიერთი პირამიდის შიდა სივრცის გამოკვლევა. აღმოჩნდა, რომ ჩინურ პირამიდას შიგნით აქვთ საფეხების მსგავსი არქიტექტურის შიდა პირამიდები, მაგრამ რა არის ამ პირამიდებში, რა მასალაა – უცნობია. (სხვათაშორის, გაჩნდა ეჭვი, რომ ჩინელების მხრიდან ერთი ციცქნა საქართველოთი დაინტერესება სულაც არ უკავშირდება მათი სააავაჭრო ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს, მათ დანამდვილებით გაიგეს საქართველოში დავანებული სულიერი საგანძურის შესახებ და ამ ფორმით ხდება „დესანტის" გადმოსხმა!)

პირამიდები ჩინეთში

კაილაშის მთა

რატომ სურთ ამ ამ ყველაფრის მიჩქმალვა ჭკვიან ჩინელებს, ნაცვლად იმისა, რომ იყვირონ, რაოდენ გრანდიოზული იყო ძველი ჩინური კულტურა? მიზეზი მარტივია – მათ კარგად იციან, რომ „ჩინური პირამიდების" მშენებლები ისევე არ არიან ჩინეთში მცხოვრები ჩინელები, როგორც ეგვიპტური პირამიდებისა ეგვიპტეში მცხოვრებლები, მექსიკური პირამიდებისა – მექსიკელები და ა.შ

ჩინეთის ხელისუფლება დიდხანს მალავდა ჩინეთში არსებული პირამიდების რაოდენობას და მხოლოდ 1997 წელს შეძლო გერმანელმა არქეოლოგმა ჰარტვიგ ჰაუსდორფმა ჩინეთის ხელისუფლებისგან თანხმობის მიღება რომ მოენახულებინა ჩინური „პირამიდების ველი".

ჩინეთის ცნობილი არქეოლოგის, პროფესორ ჰია ნაის თქმით, დღეს ამ პირამიდებს არავინ იკვლევს, რადგან ეს მომავალი თაობების სამუშაოაო, მაგრამ მკვლევართა ნაწილის აზრით, ეს არის მავანთა შიში, რომ პირამიდებში შესვლით თავდაყირა დადგება როგორც დედამიწიწაზე წარმოდგენა, ისე მასზე მცხოვრები ერების ისტორიები...

(გაგრძელება იქნება)

მილიონი, როგორც ერთი,

ანუ რა ემართება ადამიანს, რომელიც მასის ნაწილი ხდება?

ცხრა წლის განმავლობაში ნაცლიდერების დავალებით ჩადენილი სასტიკი დანაშაულების ფაქტები დღემდე მძიმე მოსასმენი და აღსაქმელია. ხშირად დასმული კითხვები კი, როგორ შეიძლებოდა ადამიანი გადაქცეულიყო სისხლს მოწყურებულ მხეცად, სიამოვნება მიეღო „მსხვერპლის" არაადამიანური დამცირებით, მორალური თუ ფიზიკური განადგურებით საზოგადოების დიდი ნაწილისთვის გაუგებარია. ნაცმოძალადების უმრავლესობას, ყველაზე სუსტი ფსიქიკის მქონე, არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი არსებები, წარმოადგენენ, რომლებსაც არანაირი გზა და საშუალება არ ჰქონდათ მოეხდინათ სოციალიზაცია და თვითრეალიზაცია, სწორედ არასრულფასოვნების დაძლევისათვის და საკუთარი ძალის გამოხატვისათვის „მიაგნეს ნაცხროვას" სადაც ძალადობის გამოხატვის შესაფერისი პირობები დახვდათ. ცნობილია, რომ ადამიანების მართვის, სულიერი და ფიზიკური „გადაკეთების" ტექნოლოგიები რამოდენიმე საუკუნის წინ იყო ცნობილი და მისი საიდუმლო ტექნიკას როგორც ოკულტურ ასევე მეცნიერულ წრეებში „ამუშავებდნენ" და „ხვეწდნენ" რასაკვირველია შემდეგ პოლიტიკური ელიტა წარმატებით იყენებდა შესაფერის სიტუაციებში. განსაკუთრებით საინტერესოა მასის (ბრბოს)კვლევის შედეგები, აღნიშნულ კვლევას სხვადასხვა დროს არაერთი ცნობილი მეცნიერი თუ ეზოთერიკოსი აწარმოებდა... მასის ფსიქოლოგიის კვლევა განსაკუთრებით აქტუალური მე-19 საუკუნის ბოლოდან და მეოცე საუკუნეში გახლდათ, რაც განპირობებული იყო მსოფლიოში, განსაკუთრებით კი დასავლურ ცივილიზაციებში პოლიტიკური ძალების რადიკალიზაციითა და საზოგადოების ფართო ფენების გამოყენებით პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზაზე.



მასის ფისოქოლოგიის ერთგვარი კვლევაა პლატონისა და არისტოტელეს შრომებიც, რომლებიც სახელმწიფო მმართველობის იდეალურ ტიპებს იკვლევდნენ და ახასიათებდნენ მათ შესაძლო გავითარებას. მაგალითად პლატონისათვის დემოკრატია ოლიგარქიის შემდგომი ნაბიჯია, ანუ მასზე უარესია, რაც თავის თავში მოიაზრებს იმას, რომ დემოკრატიაში ან ტირანული ტიპის მმართველები ხალხზე ზეგავლენით მიაღწევენ თავიანთ მიზანს, ჩაადენინებენ მათ დანაშაულს და ამას უმრავლესობის ნებად მონათლავენ თველოპლატონი უფრო შორს მიდის და ამბობს რომ საბოლოო ჯამში დემოკრატია აუცილებლად გარდაიქმნება ტირანიად, ანუ ძალაუფლებას ხალხის ფართო მასების სახელით აიღებს ერთი დიქტატორი და ის თავს სწორედ უმრავლესობის ნების განმახორციელებლი იქნება. მე-20 საუკუნის მკვლევარი შუმპეტერი მიიჩნევდა, რომ საერთოდ არ არსებობს საერთო ნება, საერთო მისწრაფება, მის მაგივრად გვაქვს ინდივიდუალური სურვილები, რომლებიც გარკვეულ ასპექტებში ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო გარკვეულ პირობებში ურთიერთსაპირისპიროა.

კარლ გუსტავ იუნგი აღნიშნავდა, რომ ქვეცნობიერი ჩვეულებრივი მოვლენაა და შესაძლოა ცნობიერად ცალკეული ინიდივიდების გაერთიანებაც კი მოხდეს მასობრივი იდეოლოგიის ქვეშ, რომელიც თავის მხრივ ქვეცნობიერ ნიშნებზე იქნება აგებული. ედვარდ ბერნაისის აზრით, საზოგადოებაზე ზემოქმედება ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ თავის თავში ძალიან საშიში, რადგანაც იგი საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვას ნიშნავს და ირაციონალური ბუნების გაბატონებასთანაა დაკავშირებული, რაც კიდეც ახასიათებს საზოგადოებას.

მასის ფსიქოლოგიას იკვლევდა ვილჰემ რეიხი, რომელიც აღნიშნავდა, რომ მასის ფსიქოლოგიური გადახრები დაკავშირებულია ფისიქოლოგიურ და ბიოლოგიურ მახასიათებელთან, რითიც უახლოვდებოდა ფროიდის იდეებს. რეიხი აღნიშნავს, რომ სექსუალურად დაუკმაყოფილებელი საზოგადოება მეტად აგრესიულია და უფრო ადვილად წამოეგება სხვათა ზეგავლენას, რომელშიც აგრესია დიდი რაოდენობით იქნება, რადგან ეს მასობრივი ადამიანისათვის იქნება საშუალება გამოამჟღავნოს და დახარჯოს თავისი სექსუალური ენერგია.

აღსანიშნავია ჰანა არენდტის შრომებიც. მისი მიხედვით მასის ადამიანი პირველ რიგში კარგავს ინდივიდუალურობის შეგრძნებას და თვითდაფასებას. იგი საკუთარ თავში აღმოაჩენს, რომ იგი სხვათა გარეშე არაფერია და სწორედ სხვა ადამიანებისათვის ცხოვრობს, ხოლო ეს სხვა ადამიანები ქმნიან სახელმწიფოს. ამ დროს ჩნდება მოტივი, რომ ადამიანი უფასურია და თუ მისი დაფასება უნდა მოხდეს, მოხდება იმის მიხედვით თუ როგორ ემსახურა სახელმწიფოს და საჭიროების შემთხვევაშიც თავი გაწირა თუ არა. სწორედ ინიდივიდუალიზმის გაუფასურება და საერთო ნების წინ წამოწევა. მასის ფსიქოლოგიას არაპირდაპირ ეხება მაქს ვებერიც, რომელიც ქარიზმატული ლიდერის არსებობას მხოლოდ პოზიტიურად აფასებს და აღნიშნავს, რომ ქარიზმატული ლიდერი საზოგადოების ნებასთან პირდაპირაა კავშირში და შესაძლებელია მისი მეშვეობით საზოგადოებაცა და მმართველიც საერთო მიზნების ირგვლივ გაერთიანდნენ და მიაღწიონ სასურველს, იმდენად, რამდენადაც მმართელი ინდივიდი მოახერხებს ქარიზმის შენარჩუნებას ფასეულობათა და ღირებულებათა დამკვიდრებითა და ცვლით. მასის ფსიქოლოგიის ზოგადი მახასიათებელია მაქსიმალური აქცენტი ირაციონალურობასა და სწრაფ მოქმედებაზე, რომელსაც უნდა მოსდევდეს რაიმე შედეგი. რაც მეტადაა ადამიანთა ჯგუფი აგრესიული და უკონტროლო, მით უმეტად ახდენს იგი ზეგავლენას სხვა მასობრივ ჯგუფზე, რომელსაც დაკარგული აქვს საკუთარი თავის ფლობის ინდივიდუალური ნება და უნარი. სწორედ ამის გამო მასის ფსიქოლოგიის განმახორციელებლები და გამომყენებლები იყვნენ ტოტალიტარული რეჟიმები და რელიგიური ფუნდამენტალიზმით განმსჭვალული ძალები, რომლებიც უარყოფენ ინდივიდუალურ უფლებებს, ქცევებს განმსჭვალავენ ან რაიმე ზებუნებრივით ან საერთო სახალხო ნებით და მის განხორციელებას დაიწყებ ყველანაირი მეთოდებით. მაგალითად შავი ჭირის გავრცელება შუა საუკუნეების ევროპაში ბრალდებოდათ რელიგიურ სექტებსა თუ ცალკეულ ებრაულ თემებს, რომლის უკანაც ღვთის სასჯელი იდგა, ამის გამო ხალხთა დიდი მასები აგრესიული მეთოდებით უსწორდებოდა ებრაულ და მცირე რელიგიურ თემებს. მეოცე საუკუნეში კი ევროპასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მასის ფსიქოლოგია გამოიყენეს ისეთმა აგრესიულმა ძალებმა, როგორებიც ნაცისტები, კომუნისტები, იმპერიალისტები და რელიგიური ფუნდამენტალიზმი უდგას. სწორედ ყოველივეს გამო მასის ფსიქოლოგია უმეტეს შემთხვევაში ნეგატიური კონტექსტით მოიხსენიება, რომელიც სპობს ინდივიდუალურ ნებელობას და ადამიანს აკარგვინებს საკუთარი თავის განკარგვის უნარს.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

XX საუკუნის შვიდი ტრაგიკული სიყვარულის ისტორია

ადამიანები აღფრთოვანებით საუბრობდნენ მათ შესახებ, ოცნებობდნენ, მათ დამსგავსებოდნენ. ამ ადამიანების სიყვარული სულს აგიფორიაქებთ და შეგძრავთ, როგორც რომანტიკული ფილმების სცენარი, ოღონდ ყოველგვარი „ჰეფი-ენდის“ გარეშე...

მარია კალასი და არისტოტელე ონასისი

ბერძენი მილიონერის გამო საოპერო მომღერალმა ყველაფერზე უარი თქვა: მიატოვა ქმარი, გაიკეთა აბორტი (არისტოტელე თვლიდა, რომ მას საკმარისი შვილები ჰყავდა წინა ქორწინებიდან), უარი თქვა ბრწყინვალე კარიერაზე...

კალასი და ონასისი

ამის სანაცვლოდ კი მხოლოდ შეურაცხყოფა და დამცირება მიიღო...

მარიას ბოლომდე სჯეროდა, რომ ბერძენის ცოლი გახდებოდა, მაგრამ მან ამერიკის პრეზიდენტის ქვრივზე — ჟაკლინ კენედიზე იქორწინა. ქორწინების შესახებ კალასმა გაზეთებიდან შეიტყო. მოგვიანებით ონასისი ემუდარებოდა ქალს, არ გაეწყვიტა მასთან ურთიერთობა და უმტკიცებდა, რომ ეს ქორწინება მხოლოდ გარიგება იყო... ასე იყო თუ ისე, სასიკვდილო სარეცელზე არისტოტელე ონასისი მხოლოდ ერთ სახელს ჩურჩულებდა: მარია...

ელიზაბეთ ტეილორი და რიჩარდ ბარტონი

ლიზმა და დიკმა ერთად 11 ფილმში ითამაშეს და 50 მილიონი „გამოიმუშავეს“. მათი სახლის კედლებს ვან გოგის ტილოების ორიგინალები ამშვენებდა, ყოველთვის მზადყოფნაში იყო მათი კერძო თვითმფრინავები და უძვირფასესი იახტები, ბარტონი ცოლს უამრავ ბრილიანტს ჩუქნიდა... მაგრამ მათ ცხოვრებაში სხვა მხარეც არსებობდა: ჩხუბი, სკანდალები, ცემა-ტყეპა, მთვრალი ბარტონის გამოხდომები... და წყვილი ერთმანეთს დაშორდა...

60-იანი წლების მთავარ წყვილს არ შეეძლო არც ერთად და არც ცალ-ცალკე ცხოვრება და უკვე ერთი წლის შემდეგ ისინი კვლავ დაქორწინდნენ, მაგრამ მეორე მცდელობაც წარუმატებელი აღმოჩნდა. მეორედ განქორწინების შემდეგ ლიზმა და დიკმა ცხოვრება სხვა ადამიანებს დაუკავშირეს, მაგრამ ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ.

ამბობენ, რომ, როცა ლიზ ტეილორმა ექს-მეუღლის გარდაცვალება შეიტყო, გული შეუწუხდა, რადგან მიხვდა, რომ სამუდამოდ დაკარგა თავისი სიყვარული...

ტეილორი და ბარტონი

ავა გარდნერი და ფრენკ სინატრა

ისინი ჭურჭელს ამსხვრევდნენ, ჩხუბობდნენ, ახალ-ახალ რომანებს აბამდნენ, უსაზღვროდ ეჭვიანობდნენ ერთმანეთზე და შემდეგ საწოლში ვნებიანად რიგდებოდნენ. ბოლოს და ბოლოს ავამ ვეღარ გაუძლო ყველაფერ ამას და წავიდა. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ქალისთვის შვება არ მოუტანია — მან უარი თქვა გაალებებზე, დაკარგა ცხოვრების ინტერესი და გულისტკივილით ადევნებდა თვალს სინატრას სასიყვარულო თავგადასავლებს.

მსახიობ მია ფეროუსთან დაქორწინებამდე ფრენკმა დაურეკა ავა გარდნერს და უთხრა, რომ კვლავ უყვარდა იგი. ავამ ყურმილი დააგდო. მაგრამ, როგორც კი 80-იანი წლების ბოლოს ავა ავად გახდა, ფრენკი მაშინვე ჩავიდა მასთან, გადაიხადა ექიმებისა და წამლების ფული და თავად მზრუნველ მომვლელად იქცა. სამწუხაროდ, ავა გარდნერის გადარჩენა ვერ მოხერხდა. სიკვდილის წინ ავამ „მომვლელ ქალს“ გაუმხილა, ცხოვრებაში ფრენკივით არავინ მყვარებიაო...

გარდნერი და სინატრა

აისედორა დუნკანი და სერგეი ესენინი

ვერც ენობრივმა ბარიერმა და ვერც 18 წლის სხვაობამ ხელი ვერ შეუშალა წყვილს გაცნობიდან რამდენიმე თვეში დაქორწინებულიყვნენ. საბჭოთა კავშირში მოწვეულ მსახიობს შინ დაბრუნება სურდა, მაგრამ შეყვარებულს თან ვერ წაიყვანდა, ეს ვიზასთან დაკავშირებულ პრობლემებს გამოიწვევდა და წყვილმა გადაწყვიტა, ხელი მოეწერათ.

სამშობლოდან შორს დალევის მოყვარულმა პოეტმა მოიწყინა და დაიწყო გაუთავებელი ჩხუბი და აყალმაყალი. ესენინი ეჭვიანობდა სხვა მამაკაცებზე და აისედორას პოპულარობაზე დასავლეთში. ზოგჯერ, ნასვამი, ცემდა კიდეც ცოლს. ბოლოს და ბოლოს ისინი დაშორდნენ. განშორებიდან სულ რაღაც ორ წელიწადში ესენინი გაურკვეველ მდგომარეობაში გარდაიცვალა, ხოლო კიდევ წელიწადნახევრის შემდეგ ტრაგიკულად გარდაიცვალა აისედორაც — მისი შარფი მანქანის ბორბალს გამოედო და...

დუნკანი და ესენინი

ლილია ბრიკი და ვლადიმირ მაიაკოვსკი

ლილია ნაკლებად სიმპათიური ქალი იყო, მაგრამ, როგორც თანამედროვეები აღნიშნავენ, მაგნეტურად მომხიბლველი იყო და მაიაკოვსკი ჭკუიდან გადაიყვანა: პოეტს იგი ერთი ნახვით შეუყვარდა და მორჩა... მაიაკოვსკი ქალის ყველა სურვილს და კაპრიზს ასრულებდა, ახარჯავდა უამრავ ფულს. პოეტს იმდენად შეუყვარდა ქალი, რომ სასიყვარულო სამკუთხედის მონაწილეც გახდა (იგი ლილიასთან და მის ქმართან ოსიპთან ერთად ცხოვრობდა).

ჭკვიანი და მიზანმიმართული ლილია ბრიკი ვლადიმირ მაიაკოვსკის ცხოვრებას ისე მართავდა, როგორც თვითონ აწყობდა. ვიდრე ცხოვრებას თვითმკვლელობით დაასრულებდა, მაიაკოვსკიმ დაწერა: „ლილია, გთხოვ, გიყვარდე“!

ბრიკი და მაიაკოვსკი

ვიქტორ დანდრე და ანა პავლოვა

პავლოვა და დანდრე

ყმაწვილობის ასაკში ბალერინამ ერთი ჩინოვნიკი გაიცნო, რომელსაც იგი რესტორნებში დაჰყავდა და ძვირფას საჩუქრებს ჩუქნიდა, მაგრამ ცოლად არ ირთავდა. ანას კი მისი საყვარლობა არ აკმაყოფილებდა. წყვილი ერთმანეთს დაშორდა.

მოგვიანებით, როცა ანა პავლოვას კარიერა წინ მიიწევდა, ვიქტორის საქმეები უკან-უკან წავიდა — იგი დააპატიმრეს და ქრთამის აღებაში დასდეს ბრალი. ანამ დიდი თანხა გადაიხადა და მამაკაცი ციხიდან გამოიყვანა. რამდენიმე დღის შემდეგ წყვილი შეუღლდა.

ანამ სიტყვა ჩამოართვა კაცს, რომ არავის გაუმხელდა მათი ქორწინების ამბავს. ვიქტორი დათანხმდა. იგი უძღვებოდა სამეურნეო საქმიანობას, ეხმარებოდა ცოლს გასტროლების ორგანიზებაში, აგვარებდა თეატრის საქმეებს, რომელიც ანა პავლოვამ ლონდონში დააარსა. მაგრამ, როგორც ჩანს, ტემპერამენტიანმა ანა პავლოვამ ვერ აპატია საყვარელ მამაკაცს ახალგაზრდობისდროინდელი წყენა. იგი მუდმივად აწყობდა ისტერიკებს, გულამოსკვნით ტიროდა, ეჭვიანობდა... ერთგული ვიქტორი კი ქალის სიკვდილამდე იტანდა მის ამ ფეთქებად ხასიათს...

ფელიცა ბაუერი და ფრანც კაფკა

ბაუერი და კაფკა

XX საუკუნის ყველაზე არჩვეულებრივი მწერლის რომანი თავის „მუდმივ საცოლესთან“, ძირითადად, წერილობით ვითარდებოდა — ცხოვრების განმავლობაში ისინი სულ რამდენიმეჯერ შეხვდნენ ერთმანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი ქალბატონი სულაც არ იზიარებდა ფრანცის სიყვარულს ფილოსოფიისა და ლიტერატურის მიმართ, მათ მრავალი წლის განმავლობაში გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდათ, რომელიც აღსავსე იყო სიყვარულითა და ვნებით.

კაფკამ რამდენიმეჯერ შესთავაზა ფელიცას ცოლობა, ქალი ყოველთვის მზად იყო, ცოლად გაჰყოლოდა ამ კუშტ, მარტოობის მოყვარულ და კომპლექსებიან ადამიანს, მაგრამ მამაკაცი ყოველთვის წყვეტდა ხოლმე ნიშნობას.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com